პაატა კერვალიშვილი 20-მდე პრესტიჟული პრემიისა და ჯილდოს მფლობელია, მრავალი საერთაშორისო აკადემიისა და საბჭოს წევრი. პროფესორ კერვალიშვილის პროფესორ კერვალიშვილის ხელმძღვანელობით შესრულდა 50-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი და პროგრამა.

პროფესორ კერვალიშვილის საჯარო მოხსენებაში „ქვანტური ბიოლოგია – ახალი მიდგომები“ (2019 წლის 1 ივნისი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი – ბავშთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია) განხილულია ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე სამეცნიერო მიმართულებების – ქვანტური ბიოლოგიის განვითარების მთავარი საკითხები და ამოცანები. პ. კერვალიშვილის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვანტური საინფორმაციო ტექნოლოგიების (ქსტ-QIT) როლს ქვანტური საინფორმაციო ბიოლოგიის (ქსტ-QIB) განვითარებაში, სადაც ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და კომუნიკაცია ხდება კვანტური ფიზიკის პრინციპებით, მათ შორის მოლეკულურ-ბიოლოგიურ პროცესებში. ქვანტური საინფორმაციო ბიოლოგიის ფუნდამენტური საკითხები არის ქვანტური ფორმალიზმის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული განაცხადი ფიზიკის გარეთ. ქსტ უზრუნველყოფს ბიოსისტემებში ინფორმაციის დამუშავების მრავალმხრივ მოდელს – ცილებიდან და უჯრედებიდან შემეც-



ევრო ხმელთაშუაზღვის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრთა ერთი ჯგუფი. 2010

ნებით და სოციალურ სისტემებამდე. იგი ეფუძნება ქვანტური პარადიგმს: კომპლექსური ბიოლოგიური სისტემები მუშაობს ქვანტური ინფორმაციისა და ალბათობის კა-



„ნატოს“ ეზოში 2000 (ფოტო დაცულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში)

ნონების შესაბამისად. ქვანტურ-ფიზიკური ინფორმაციული ინტერპრეტაცია არის qsb-ის ყველაზე ბუნებრივი ინტერპრეტაცია. ბიოლოგიურად qsb ეფუძნება ორ პრინციპს: ა) ადაპტირებას, ბ) გახსნილობას (ბიოლოგიური სისტემები ფუნდამენტურად ღიაა). ეს პრინციპები მათემატიკურად წარმოდგენილია ახალი ფორმალიზმის ჩარჩოებში – ქვანტური ინფორმაციის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ღია კვანტური სისტემების სტანდარტულ თეორიას, და რომლის ადაპტირება შესაძლებელია ცოცხალი სისტემებისათვის. ამ მიმართულებით მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ახალი დარგის – ქვანტური საინფორმაციო პროცესები ბიოსტემებში – შემდგომი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დღეს უკვე დამუშავებული ქვანტური საინფორმაციო მეთოდებისა და ალგორითმების თავსებადობის დადგენა ნაწილ და პიკო მასშტაბის ბიოპროცესების გააგებისა და დამუშავებისათვის.

რეზიუმე

წელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს პაატა კერვალიშვილს 70 წელი უსრულდება

ტექსტში მიმოხილულია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს პაატა კერვალიშვილის განვლილი მისაბაძი სამეცნიერო და პედაგოგიური 70 წლიანი გზა.

SUMMARY

THIS YEAR DOCTOR IN PHYSICS-MATHEMATICS, PROFESSOR PAATA KERVALISHVILI IS GETTING 70

The text summarizes scientific and pedagogical road of Paata Kervalishvili

პროფესორ იოსებ კვაჭაძის ბახსენება

ნ. ბაღრაშვილი,
თბილისი

პროფესორი იოსებ კვაჭაძე ლეგენდარული პიროვნება იყო, რომლის მრავალმხრივი პროფესიული თუ მოქალაქეობრივი ღვაწლის შეფასება შეუძლებელია ამ მცირე სტატიაში. რაც წლები გადის მისი მოღვაწეობა უფრო და უფრო ფასდაუდებელი ხდება. ეს არცაა გასაკვირი რადგან მონუმენტები სრულყოფილად შორიდან აღიქმებიან. ამიტომ იყო რომ მისმა განუყრელმა მეგობარმა თამაზ მარინაშვილმა მის გახსენებას ტერენტის ფრაზა წარუმიძღვანა: „და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ რა ცეცხლი მწვავდა და ვინ ვიყავი“.

ჩემი მეგობარი მარინე კვეხერელი-კობაძე ხშირად იხსენებს ბატონი იოსების საყვარელ ფრაზას „ცეცხლი დავანთოთ, შემოქმედებითი ცეცხლი დავანთოთ“ ასე მოუწოდებდა თავის თანამშრომლებს და ასე გრძელდებოდა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

მე ერთი იმათგანი ვარ, ვინც სამედიცინო ინსტიტუტში მის პირველ ლექციას დაესწრო. ჩვენ იმ პერიოდში კორიფეების ლექციები არ გვაკლდა, მაგრამ ის ცეცხლი, რომელიც ჩვენს გულებში იმ პირველ ლექციაზე ავიზგიზდა, დღემდე გვათბობს ჩვენი პროფესიის სიყვარულით. ეს იყო უჩვეულოდ ამაღლებული, პროფესიული სულისკვეთებით გაუღწეოთილი, უახლესი მეცნიერულ მიღწევათა საფუძველზე გააზრებული, ზოგადსაკაცობრიო იდეებით და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული გამოსვლა. ეს ისეთი სიახლე და სიმაღლე იყო, რომ სტუდენტებმა ჩათვალეს პროფესორი მოსკოვიდან მოგვევლინათ. რა გასაკვირია ეს ვარაუდი, მაშინ ხომ „მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა“. და თუკი რამე კარგი მოხებოდა, მოსკოვს უკავშირებდნენ. იმ დღიდან დარჩა ბატონი იოსები მესსიერებში უნივერსალურად მრავალფეროვანი, ღრმად და ორიგინალურად მოაზროვნე.

მის ღირსეულად განვლილ ცხოვრებას ზუსტად შეესაბამება გ. რჩეულიშვილის ფრაზა: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკობაში“. ამიტომ იყო იგი დაუცხრომელი ნოვატორი, შრომა და შემართება, ენთუზიაზმი, სიმნეველებთან გაბედული და დაუღალავი ჭიდილი იყო მისი სავიზიტო ბარათი.

იგი იყო თავგანწირული შემოქმედი, მაღალი რანგის მოაზროვნე, მისი გამოჩენა საზოგადოების ჩვეულებრივ ბანალურ საქმეს ზეიმად აქცევდა ხოლო ლექციები, კლინიკური შემოვლები, კონფერენციები მისი ღვაწლით იყო ტრიუმფალური.

მისი თვალსაწიერის გარეშე არ დარჩენილა არა-თუ თავისი დროის პედიატრიის აქტუალური თემები,

არამედ მან თავისი აზროვნებით, მეცნიერული მიგნებებით ეპოქას 50 წლით გაუსწრო.

ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს მონოგრაფია მიუძღვნა თანდაყოლილ ტოქსოპლაზმოზს და 70 წლების დასაწყისში როდესაც საბჭოთა იმპერიის წამყვან ქალაქებში პირველი ნაბიჯები იდგმებოდა გენეტიკის როგორც მეცნიერების აღიარების საქმეში მან დაიწყო ზოგიერთი მემკვიდრული დაავადების გამოვლენა და მეცნიერული შესწავლა.

ამ დროს არ არსებობდა კვლევისათვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ხშირ შემთხვევაში თანამშრომლები ვსწავლობდით ამა თუ იმ გამოკვლევის მეთოდებს კლინიკაში დასანერგად, ზოგჯერ მთელს ქალაქში ვეძებდით ლაბორატორიას სადაც ესა თუ ის კვლევა ტარდებოდა. ზოგჯერ ჩვენს ნაცნობებს ვატანდით თვითმფრინავით საკვლევ მასალას მოსკოვის რომელიმე ლაბორატორიაში. ეს ყველაფერი ენთუზიაზმთან ერთად მატერიალურ ხარჯებსაც მოითხოვდა, მაგრამ ჩვენ ამას არ დავიღვევდით, ჩვენ ხომ იოსებ კვაჭაძის მოწაფეები ვიყავით. სამაგიეროდ ვამაყობდით, რომ გვყავდა მასწავლებელი, რომელსაც მთელ საბჭოთა კავშირში აღიარებდნენ კოლეგები. უცხოელი კოლეგები ძალიან კარგად იცნობდნენ ჩემი დიდი მასწავლებლის სამეცნიერო შრომებს, ისინი ციტირებდნენ მათ და აკვირვებდათ კათედრის ბაზა როგორ იტევდა ასეთი სიღრმის და მრავალი პროფილის სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის მოღვაწეობას მწირი ბიუჯეტით და შეზღუდული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. თვითონ ხომ ბევრად პრივილეგირებულ პირობებში მხოლოდ რომელიმე ერთ კონკრეტულ პრობლემებზე მუშაობდნენ.

სხვა არის როცა შენს მასწავლებელს პირისპირ ხედავ და სხვა განზომილებით აფასებ მას როცა სხვა გარემოდან აკვირდები. როდესაც ლენინგრადიდან 4 თვიანი სსრკ სამედიცინო. ინსტიტუტების პროფესორ- მასწავლებელ კვალიფიკაციის კურსებიდან დავბრუნდი ჩემი მასწავლებლის შეკითხვას რა სიახლე ვნახე ლენინგრადის კლინიკაში მე ვუპასუხე, რომ ის სიახლეები რაც მათ მოგვაწოდეს და რასაც ხარბად ეწაფებოდნენ სხვადასხვა რესპუბლიკებიდან თუ ქალაქებიდან ჩამოსული პროფესორები ჩემთვის ნაცნობი იყო ჩემი გენიარული მასწავლებლის წყალობით. მე ახალგაზრდული პირდაპირობით ვუთხარი მოსკოვისა და ლენინგრადის სკოლას თუ გადავხედავთ, თქვენი რანგის მოაზროვნე მხოლოდ ერთი პროფესორი იგორ მიხაილოვიჩ ვორონცოვი, მაგრამ

ისიც მხოლოდ თეორიაში. მას თქვენდენი კლინიკური გამოცდილება პრაქტიკული მუშაობის არ აქვს მეთქი.

ბატონმა იოსებმა საქართველოში პირველმა და საბჭოთა იმპერიაში ერთ-ერთმა I დაიწყო თანდაყოლილი ინფექციების, პერინატალური პათოლოგიების, ემბრიოპათიების, ნაწლავთა შეწოვის ფუნქციის დარღვევით და მემკვიდრული პათოლოგიით მიმდინარე დაავადებათა მეცნიერული შესწავლა. ბავშვთა II სავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა ნაწლავთა შეწოვის ფუნქციით დარღვევით და მემკვიდრული პათოლოგიით შეპყრობილთათვის განყოფილება.

გამოიცა მონოგრაფია თ. წერეთელთან ერთად „ზოგიერთი თანდაყოლილი და მემკვიდრეობითი დაავადებები ბავშვთა ასაკში“.

მონოგრაფიაში განხილულია ზოგიერთი თანდაყოლილი და მემკვიდრეობითი დაავადების ეტიოლოგიის, პათოგენების, კლინიკისა და მკურნალობის საკითხები. საფუძვლიანად არის გაშუქებული თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზისა და ახალშობილთა ჰემოლიზური დაავადების როლი პერინატალურ დაავადებათა სტრუქტურაში.

მონოგრაფიაში მოყვანილი მასალა მთლიანად ეფუძნება ავტორთა მრავალი წლის კლინიკურ გამოცდილებასა და ამ საკითხის ირგვლივ იმ დროს არსებულ მონაცემებს. ამ მონოგრაფიამ საშუალება მისცა იმ დროს ქართული სამედიცინო საზოგადოების მშობლიურ ენაზე გასცნობოდა ბავშვთა პათოლოგიის ნაკლებად ცნობილ და უადრესად აქტუალურ გამოწვევებს.

მონოგრაფიაში პირველად საქართველოში აღწერილია:

- დეტონი-იბრე-ფანკონის სინდრომი
- ცისტინოზის საკ. შემთხვევა
- ფენილკეტონური
- გლიკოგენოზი
- გალაქტოზემიის საკ. შემთხვევა
- თამაზ მარინაშვილთან ერთად შესწავლილია ცელიაკიის კლინიკურ-იმუნოლოგიური ასპექტები.
- გარგოილიზმის შემთხვევა
- მარფანის სინდრომი
- ელერს-დანლოსის სინდრომი
- გოშეს დაავადება
- ჟილბერის სინდრომი
- კრიგლერ ნაიარის სინდრომი

(ბირთ. სიყვითლე მიმდ. არაჰემოლიზური ჰიპერბილირუბინემიით) მონოგრაფია, რომელიც ათეული წლების მანძილზე ექიმებისა და სტდენტების სამაგიდო წიგნი იყო დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

ამავე დროს კათედრაზე საფუძველი ჩაეყარა კლინიკური გენეტიკის შესწავლას. ხდებოდა სასქესო ქრომატინისა და კარიოტიპის შესწავლა. 80-იანი წლებიდან HLA ანტიგენის შესწავლა. შესრულდა დისერტაციები იმუნოგენეტიკური კვლევის საფუძველზე.

ჯერ კიდევ 1973 წ. ბავშვთა II კლინიკური სავადმყოფოს 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილ სამეც. შრომათა კრებულში დაიბეჭდა ტყუპების შემთხვევაში სტეოგენეზის იმპერფეცტა შესახებ შრომა.

ცალკე მინდა შევეხო მუკოვისციდოზის საკითხს ვინაიდან წილად მხვდა ბედნიერება პროფ. კვაჭაძის ხელმძღვანელობით პიონერი ვყოფილიყავი ამ სფეროში საქართველოში და ერთ-ერთი პირველთაგანი საბჭოთა კავშირში.

იოსებ კვაჭაძის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ დიდი მეცნიერული აღლოთი შეაფასა ამ დაავადების შესწავლის ფასდაუდებელი მნიშვნელობა გენეტიკური დაავადებების შეცნობის საკითხში. ეს არის მოდელი გენეტიკური დაავადებების კვლევისათვის უკვე 1974 წ. საკავშირო პედიატრის X ყრილობაზე წარდგენილ რამდენიმე შრომათაგან იყო პროფ. კვაჭაძის შესრულებული პრაქტიკული ნაშრომი „К вопросу об изучении недосточности всасывания (мальабсорбция) у детей.“

ამ პერიოდიდან იწყებოდა ამ დაავადების საფუძვლიანი შესწავლა. პირველად

ჩვენს მიერ დადგინდა საქართველოში ახალშობილებში მისი გავრცელების სისშირე. ასევე ქრონიკული პნემონიისა და ბრონქული. ასთმის შემთხვევაში სტატისტიკა. შესრულდა 39 სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის შრომა.

იოსებ კვაჭაძის ხელმძღვანელობით დადგენილია ამავე დროს მე დაავადებულებში ანემიის პათოგენეზი. კერძო ერთორციტების მემბრანების არქიტექტონიკისა და უჯრედის მემბრანის ენერგეტიკული ცვლის დარღვევა ყოველივე ამის ხარჯზე ხდება ერთორციტების სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, ჰემოლიზი და ანემიის განვითარება რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ამძიმებს დაავადების ისედაც მძიმე მიმდინარეობას ქსოვილთ ჰიპოქსიის გაღრმავების ხარჯზე.

ასევე დადგინდა რომ მე დაავადებულებს არ აქვთ ლეიკოციტური ინტერფერონის წარმოქმნის უნარი არც დაავადების გამწვავების და არც რემისიის პერიოდში.

ამ შრომას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ვირუსოლოგებს შორის. მოსკოვში მოღვაწე ვირუსოლოგებმა მამა-შვილმა ღია და ღვოვ ნისევიჩებმა დაადგინეს. რომ მე დაავადებულებს აღენიშნებოდათ ორგანიზმში მუდმივი ქრონიკული ვირუსემია რესპირაციული ვირუსებით, ისინი ეძებდნენ ამ პროცესის ახსნას და ამ პერიოდს დაემთხვა ჩვენი პუბლიკაცია ინტერფერონის შესახებ ამ ორმა მეცნიერულმა მიგნებამ გადაწყვიტა სწორედ მე დაავადებულებში მკურნალობის ტაქტიკაში ახალი ნიუანსი.

ჩემმა ლეგენდარულმა მასწავლებელმა იოსებ კვაჭაძემ არამხოლოდ ნახევარი საუკუნით გაასწრო თავის ეპოქას, არამედ მთელი ეპოქა შექმნა პედიატრიაში.

ჩვენს კათედრაზე იყო ნამდვილი ფეიერვერკი სამეცნიერო მიღწევებისა მედიცინის სხვადასხვა სფეროდან, სრულდებოდა სამეცნიერო დისერტაციები კლი-

ნიკური გენეტიკის, თუ იმუნოგენეტიკის სფეროში, ბავშვთა ენდოკრინოლოგიაში, ბავშვთა რევმატოლოგიაში, ბავშვთა კაროლოგიაში, პერინატალურ მედიცინაში, ნეონატოლოგიაში, თანდაყოლილ ინფექციების პრობლემებზე.

იწერებოდა მონოგრაფიები მეთოდური რეკომენდაციები და საერთაშორისო და საკავშირო ჟურნალებში ქვეყნდებოდა სამეცნიერო შრომები მედიცინის აქტუალური პრობლემებზე. 1993 რიგაში კლ. გენეტ. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ერთადერთი მონოგრაფია Муковисцидоз у детей. И.М. Квачадзе, Н.Р. Бадриашвили, 1990г.

თამამად ვიტყვი ჩვენ ვშრომობდით, ჩვენ ვაშენებდით და ვმადლდებოდით, მაგრამ სამწუხაროდ ამ მოვლენების ფონზე ჩვენი დიდი მასწავლებელი წუთისოფლიდან სამყაროს სხვა განზომილებაში-მარადიულობაში გადავიდა.

ამ ფაქტიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ყოველივე წინაპრების გარეშე მოხდა მსუბუქად რომ ვთქვათ გაუგებრობა. გაუქმდა იოსებ კვაჭაძის მიერ ათეული წლების მანძილზე დიდი რაოდენობით შექმნილი კათედრა.

ჩემო დიდო მასწავლებელო, ეს ყველა ჩემი და შენი მოწაფის დაუამებელი ტკივილი. მე ჩემს უძღურებას ვადიარებ ამ ფაქტის გამო. შენდობას ვითხოვ ჩემი უსუსურობის გამო. რამდენიმე პიროვნების გარდა კათედრის თანამშრომლები უნივერსიტეტის გარეთ დარჩნენ. მე დამნაშავე ვარ ღვთისა და შენს წინაშე ჩემო დიდო მასწავლებელო ღვთისგან და შენგან ბოძებული ტალანტები ვერ გავამრავლე, ვერ გამოვიყვანე, მიწაში დაფვავი. თუმცა ობიექტურობა მითხოვს ვადიარო რომ არც საშუალება მომეცა მათუ რეალიზაციას.

ჩემი დიდი ტკივილია რომ ჩემი მეგობრები რომლებზეც შენ უდიდეს იმეტებს ამყარებდი, თავისი პროფესიული სრულყოფილებას და შემოქმედებითი აღმაფრენის ასაკში ჩამოშორებულ იქნენ საყვარული საქმისგან.

და ბოლოს ჩემო ლეგენდარული მასწავლებელო, „რა ვითხრა, რით გაგახარო.“ მე ვერ დავეთანხმები გენიოსს, თითქოსდა „დიდებული ადამიანები უძველესი იკარგებიან.“

შენ ხელთუქმნელი მარადიული ძეგლი დაიდგი ყველა შენი მოწაფისა და კოლეგის გულში. ძეგლი მარადიული სიყვარულისა, რომელსაც მატერიალური მონუენტებისგან გასხვავებით დრო და ჯამი ვერ შეეხება. როგორც ყველა გენეტიკურად ქართველი მეც რუსთველს ვემსრობი „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭელსა“ ბუმბერაზი უნდა იყო რომ დიდება ჰპოვო საქართველოში, „საქართველოში, მხარეში სადაც მეგელს არ აგდებენ ხანდახან ძაღლად“ როგორც პოეტი ამბობს.

ჩემს მოხსენებას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა დღევანდელი კოსმოპოლიტურ სამყაროში შენს და ჩემს სათაყვანებელ ახალგაზრდებს მინდა შევახსენო არ დაივიწყონ „ვისი გორისანი არიან“, აუცილებელია „ყმაწვილმა უნდა იცოდეს საცნობლად თავისადლო, ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“. ასევე მათ მინდა გავანდო შენი საყვარელი ფრაზა ჩემო გენიალურო მასწავლებელო:

„მოწაფემ მასწავლებლის მხრებზე შემდგარმა უფრო შორის უნდა გაიხედოსო“ ყმაწვილებო გახსოვდეთ თქვენ „დიდი გყავდათ წინამორბედი, წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა.“ „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ, გამოდით თქვენი ჭირიმი.“ ახლა თქვენზეა ცეცხლის დანთება.

მეორე მიზანი ჩემი გამოსვლის: აღარ განმეორდეს ის გაუგონარი გაუგებრობა რაც იოსებ კვაჭაძის მიერ ათეული წლების დაუღალავი შრომით შექმნილი კათედრის მიმართ განხორციელდა.

დაუშვებელია მაღალკვალიფიციური კადრების საყვარელი საქმიანობიდან მოწყვეტა.

2018 წლის 1 ივნისს, სოციალური პედიატრიის ფონდის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია პროფ. ი. კვაჭაძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილია.

რეზიუმე

პროფესორ იოსებ კვაჭაძის ბახსენება

ნ. ბადრიაშვილი,
თბილისი

სტატია ეძღვნება პროფესორი იოსებ კვაჭაძე ლეგენდარული პიროვნებას, რომლის მრავალმხრივი პროფესიული თუ მოქალაქეობრივი ღვაწლის შეფასება შეუძლებელია ამ მცირე სტატიაში კი ირკვევარ, რომ რაც წლები გადის მისი მოღვაწეობა უფრო და უფრო ფასდაუდებელი ხდება.

SUMMARY

REMEMBERING PROFESSOR JOSEPH KVACHADZE

N. BADRIASHVILI /Tbilisi

Article is dedicated to Professor Joseph Kvachadze, who was a legendary person, his tremendous professional and social work. As time goes by his work gets more and more priceless.

საქართველოს ჰუმანიტარულ და
სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია
Humanitarian and Art Academy of Georgia



ჯანდაცვის სისტემაში ჰიპოკრატეს ფიცი სწავით, მაგრამ ბოლო კი – ბასაკვირია

ივ. ღოღოძე, თბილისი

ფიცი დღევანდელი გაგებით წარმოადგენს რაიმე თანამდებობაზე არჩეული ან დანიშნული პირის (პრეზიდენტის, მოსამართლის, სახალხო დამცველის, მკურნალის და ა.შ.) სახეიშო დაპირებას, რომ ის (ან ისინი) კეთილსინდისიერად შეასრულებენ (შეასრულებენ) მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ქართულ ცნობიერებაში ფიცი ერთ-ერთი მტკიცებულებათაგანია, რომელიც ხნაურ-ქართული ენობრივი შერწყმით, ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ არსებობდა. ფიცი (სვანურად – ამაღვრა), როგორც სიტყვა – ტერმინი ქრისტემდე, ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ არსებობდა და გამოხატავდა რაიმე თანამდებობაზე არჩეული ან დანიშნული პირის (მოძღვარი, მკურნალი, მსაჯული, მეომარი და ა.შ.) სახეიშო დაპირებას, რომ ის კეთილსინდისიერად შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამავე დროს, ფიცის გატყვევის შემთხვევაში მოფიცარი იმსახურებდა თვითწყველასა და საზოგადოებიდან განდევნას.

ჰიპოკრატეს ფიცი, რომელიც სამედიცინო საზოგადოებაში აღიარებულია, როგორც საექიმო ეთიკის საფუძველი, ემყარება ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობის ურთულეს პროცესს და იმ პასუხისმგებლობას, რასაც ექიმის წინაშე აყენებს პროფესიული განათლება, ავადმყოფი და საზოგადოება.

საიდუმლო არაა, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ ვცხოვრობთ სხვა საზოგადოებასა და სხვა ქვეყანაში. ახლა მიაჩნიათ, რომ ავადმყოფს აქვს საკუთარი წარმოდგენა სიკეთეზე და ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ მიზნებზე. საქართველოში ექიმის ფიცი ტექსტად მიღებულია და მოქმედებაშია კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, რომლის საფუძველს წარმოადგენს მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მეორე გენერალური ანსამბლეს 1948 წლის ქუენეის დეკლარაციის დებულება.

ჰიპოკრატემ, ძველი საბერძნეთის ექიმმა, რომელიც მედიცინის მამად არის აღიარებული, დაახლოებით ძვ. წ. 400 წლის წინათ დაწერა ექიმის ფიცი, რომელიც დღემდე ცნობილია „ჰიპოკრატეს ფიცის“ სახელწოდებით. ამ კეთილშობილური მორალური კოდექსით რიგი ექიმებისა დღემდე ხელმძღვანელობენ და კიდევაც ასწავლიან სახელმწიფო აკრედიტაციის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში. სამედიცინო სასწავლებლების კურსდამთავრებულები დიპლომის მიღების წინ, საჯაროდ, სახელმწიფო ენაზე დაუბნენ ექიმის ფიცს. ვერეთწოდებულ „ჰიპოკრატეს ფიც“ ითვალისწინებს საექიმო ეთიკის ნორმებს, რაც გამოიხატება იმ ძირითადი პრინციპების შესრულებაში, როგორცაა გულისხმიერება, კეთილთვისობრიობა, პაციენტის უფლებამოსილება, სამართლიანობა, ღირსება, კეთილსინდისიერება და პატიოსნება. თუმცა სამწუხაროდ, დღევანდელი გადმოსახედიდან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულ კლინიკურ

საქმიანობაში ჩართვასთან ერთად, ახალგაზრდა ექიმი მალევე ხდება ანდაზის ფიცის: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“ ჭეშმარიტებას. ერთია – რა წერია ფურცელზე და მეორე – რა ხდება სინამდვილეში.

ცნობილი ანდაზა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“, გარკვეული შინაარსობრივი მიდგომით გვაფიქრებინებს საქართველოს ჯანდაცვის სოციალური სისტემის ფუნქციონირების სტილს, სადაც დღემდე კანონები და ჯარიმები ევროპულია, ხოლო ცხოვრების დონე კი ბანანის რესპუბლიკის დონესაც ვერ აღწევს. ფასიან ჯანდაცვის სისტემაში მთლიანად კარგად ვერ მუშაობს ჰიპოკრატეს ფიცი, იმიტომ რომ, რაც არ უნდა გულისხმობს იყოს ექიმი, გადაუდებელ ოპერაციას ვერ გააკეთებს, რადგან პაციენტი, თუ შესაბამის თანხას ვერ გადაიხდის. ასევე, ვერც სიცხიან ბავშვს გასინჯავს და დაუწინაშავს მკურნალობას. ასე, რომ კლინიკის შინაგანაწესის ისე ზღუდავს ექიმს, როგორც მედიას – ცენზურა. ექიმის კაბინეტში შესვლამდე, პაციენტი უნდა გაემართოს საღაროსკენ და გადაიხადოს ექიმის მომსახურების თანხა. რომელსაც უმკაცრესად აკონტროლებს ყველა მოქმედი კლინიკა. ექიმმა, რაც არ უნდა მსურვალედ დადოს ჰიპოკრატეს ფიცი, მისი რეალობა და იურიდიული მხარე ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია.

ფაქტები გვიჩვენებს, რომ ჰიპოკრატე შეიძლება სულაც არ იყოს იმ ფიცის ავტორი, რომელიც მის სახელს ატარებს. სინამდვილეში, ვინც უნდა იყოს ფიცის ავტორი, ვერ ვუარყოფთ იმ უდიდეს გავლენას, რომელიც მან დასავლეთის მედიცინაზე მოახდინა, განსაკუთრებით ეთიკის სფეროში. ამ ფიცს უწოდებენ „მედიცინაში ზუსტი ეთიკური კონცეფციების განვითარების მწვერვალს“, „განვითარებულ ქვეყნებში ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობის საფუძველთა საფუძველს“ და „უდიდესი პროფესიული მორალის მაჩვენებელს“.

არსებობს მრავალი მიზეზი, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს იმას, რომ ეს ფიცი ჰიპოკრატეს ეკუთვნის. პირველი ისაა, რომ ის სხვადასხვა დმერთისადმი (აპოლონ მკურნალი, ასკლეპიოსი, ჰიგია და პანაცეია) იწყება, თუმცა ითვლება, რომ ჰიპოკრატე პირველი იყო, ვინც მედიცინა რელიგიისაგან გამიჯნა და დაავადებების საწყისს ზებუნებრივის მაგივრად ფიზიკურში ეძებდა.

ფიცის დამდები იძლეოდა დაპირებას, რომ არ ჩაატარებდა ქირურგიულ ოპერაციას. ამის საპირისპიროდ ქირურგიული ხერხები შესულია წიგნში „ჰიპოკრატეს კრებულის“ სამედიცინო შრომების ნაკრებში, რომელიც ხშირად ჰიპოკრატესა და ძველ დროში სხვა ავტორებს მიეწერება.

1913 წელს გამოჩენილმა კანადელმა ექიმმა სერ უილიამ ოსლეერმა თქვა: „ახლა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ეკუთვნის თუ არა ჰიპოკრატეს ხანას ეს ფიცი... ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში ამ მრწამსით ხელმძღვანელობდნენ მედიკოსები და დღესაც მრავალ უნი-

ვერსიტეტში გამოსაშვები კურსის სტუდენტები ამ ფიცს დებენ ექიმის დიპლომის მისაღებად. ფიცის დადების ცერემონია შენარჩუნებულია მრავალი სამედიცინო სასწავლებლის სწავლის დასრულების ცერემონიაში. ფიცმა საუკუნეების განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალა სახე, რომ მორგებოდა თანამედროვეობას, თუმცა მისი ძირეული აზრი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 400 წლით ადრე დააწესა ჰიპოკრატემ, რომელიც დღესაც მნიშვნელოვანად არ შეცვლილა. ენციკლოპედია ბრიტანიკა, ჰიპოკრატეს ფიცს აღწერს, როგორც სამედიცინო ეთიკის კოდს, რომელიც მიღებულია სამედიცინო სფეროში, როგორც მედიცინის სტუდენტების, მასწავლებლებისა და ზოგადი სამედიცინო პერსონალის ეთიკურ ვალდებულებად მათი პროფესიის წინაშე.

ჰიპოკრატეს პირველ მასწავლებლად მიჩნეულია მამისი – ჰერაკლიდე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შეგირდის სამედიცინო აზროვნების ჩამოყალიბებაში და ანტიკური მედიცინის რეფორმაციის სახელის დამკვიდრებაში. ჰიპოკრატემ ჩამოაყალიბა მკურნალობის ძირითადი პრინციპები (არ დაახიანო, სიფრთხილე გამოიჩინე წამლის გამოცვლისას და სხვა). „ჰიპოკრატეს ფიცი“, როგორც საექიმო პროფესიის მორალური კოდექსი, სხვა არაფერია, გარდა მოწოდებისა, თუ როგორ უნდა იყოს მედიკოსი, რა უნივერსალურ ჰუმანურ ღირებულებებს უნდა ფლობდეს, რომ მას ავადმყოფის სიცოცხლე ანდონ. აღნიშნულის გარეშე ექიმი უბრალოდ სხეულის თეთრხალათიანი ხელოსანია, ჩვენს რეალობაში კი – ხშირად – არცთუ ისე კარგი ხელოსანი.

დღევანდელ ჯანდაცვის სოციალურ სისტემაში, საავადმყოფო ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის დაცულ სივრცედ არ მიიჩნევა. ქვიარ პაციენტებს უწევთ შეეგუონ იმ ადამიანის უტაქტო შენიშვნებს, რომელსაც საკუთარ ჯანმრთელობას ანდობენ. მოწინავე სამეცნიერო დაწესებულების ნაცვლად საავადმყოფოს შუასაკუნეობრივი ინკვიზიციის, მორალური პოლიციის შენობას დაეხმავება. ეს კი პრობლემის მწვერვალია. იმდგამცრეულში პაციენტები, გაბრაზებული მოქალაქეები და მედპერსონალის მისამართით წამოსული უდიდესი რისხვა – თანამედროვე რეალობა ჯერ კიდევ ცვლილებების მოლოდინშია. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა არ შეიძლება იყოს ექიმი (მკურნალი). ამისათვის საჭიროა ბევრი რამ, მათ შორის ადამიანის პირადი ღირებულება – სპეტაკი მორალი, პროფესიის სიყვარული, მოვალეობის გრძნობა და სხვა. სხვანაირად რომ ვთქვათ, პიროვნება თავისი შინაგანი ბუნებით მოწოდებული უნდა იყოს ექიმის პროფესიისათვის. ასეთი ბუნებრივი მონაცემების გარეშე საექიმო მოღვაწეობაში წარმატების მიღწევა შეუძლებელია. არაკვალიფიციური ექიმის ხელში მოხვედრილი ადამიანები და დაავადებულები ახლობლების მიერ დიდად გამოთქმული უკმაყოფილება თითქმის მთელ სამედიცინო სფეროს აზარალებს. ამას ემატება ფარმაცევტულ კომპანიებთან დადებული დია თუ ფარული გარიგებები, გარკვეული ანაზღაურების ნაცვლად დანიშნული მედიკამენტები და უყურადღებობა, რომელსაც კონკრეტული დაავადების მქონე პირები განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან. ამასობაში კი საზოგადოებრივი რისხვის ქვეშ „ჰიპოკრატის ფიცის“ ერთგული ექიმებიც ექცევიან, რომლებიც რეალურად არამარტო პროფესიონალიზმით, არამედ ადამიანური ურთიერთობითაც გამოირჩევიან. მიუხედავად დღემდე მოქმედ „ჰიპოკრატის ფიცის“ შესული უამრავი ცვლილებებისა, ექიმის ფიცის წარმოთქმა ხშირად ძალიან მნიშვნელოვნად ითვლება მათთვის, ვინც თავს უძღვის კეთილშობილურ და მაღალ ზნეობრივ იდეალებს.

დღეს, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოტივაციური სისტემა აწყობილია ისე, რომ მეტი გამოკვლევა, მეტი ოპერაცია, მეტი ჩარევა იყოს და ამ დროს

ჰიპოკრატეს ფიცით პირველია, რომ არ ავნო პაციენტს, საჭიროზე მეტი ოპერაცია და საჭიროზე მეტი წამალი არ უნდა დაენიშნოს – ესეც ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც არამარტო ადამიანის თუ სახელმწიფოს ჯიბებს ვნებს, არამედ ჯანმრთელობას. ეს სისტემა უნდა შეიცვალოს და სისტემას არ უნდა ჰქონდეს იმის მოტივაცია, რომ მეტი გამოკვლევა, მეტი ოპერაცია გააკეთოს და პაციენტს მეტი წამალი გამოუწეროს.

ამჟამინდელი ჯანდაცვა კი, თავის წარმატებას ხედავს მხოლოდ პოლიკლინიკებში პაციენტთა მიმართუთა რაოდენობისა და სასწრაფო დახმარების მიერ პოსპიტალიზებულ ავადმყოფთა მოცულობის ზრდაში. თუმცა ეს ყველაფერი გარდაუვალია, რადგან ავადმყოფთა რაოდენობა კი არ მცირდება, ყოველდღიურად მატულობს.

მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც საქართველოს მსგავსად, ყველა ფეხის ნაბიჯზე აფთიაქია. სააფთიაქო ბიზნესს კონკრეტული ჩინოვნიკები მფრველობენ და ფულს მშვიდი ხალხის ხარჯზე შოულობენ, ნუთუ ამ ქვეყანაში მართლაც იმდენი ადამიანია ავად, რომ საჭიროა ამდენი აფთიაქი? საქართველოში ხალხი ნამდვილად ავადია და ამის მრავალი მიზეზი არსებობს. პირველი ის არის, რომ ადამიანები სათანადოდ ვერ იყვებიან, ვერ მისდევს ცხოვრების ჯანსაღ წესს, ცხოვრობს მოწამლულ, დაბინძურებულ და სტრესულ გარემოში. ამასთანავე, გაუმართავია პირველადი ჯანდაცვა და პრევენცია, რაც სრულად საკმარისია იმისათვის, რომ ეროს დაავადებული. ამას ხელს უწყობს ქვეყანაში მედიკამენტების უფრო მაღალი ფასები, ვიდრე ვეროპასა და პოსტსტაბილთა ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ 2012 – 2019 წლამდე ჯანდაცვის ბიუჯეტი 5-ჯერ გაიზარდა, მოსახლეობის ავადობა და სიკვდილიანობა არ შემცირებულა, პირიქით დაემატა ახალი დაავადებების რაოდენობა. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხალხის ჯიბიდან ბიუჯეტში შეგროვილი ფული მისახლეობის ჯანდაცვას კი არ ხმარდება, არამედ ვიდაცეების ჯიბეებში იღებება. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს არაეფექტურად და არასწორად ხარჯავს. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ საქართველოში ჯანდაცვის რეფორმამ, რომლითაც ხელისუფლება თავს იტყუებდა, კრახი განიცადა. ამაზე კარგ ანალიზს გვთავაზობს მანანა ჯებაშვილი თავის ინტერვიუში ქრონიკის ჟურნალისტთან 2019 წლის 23 თებერვალს.

თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული ექიმები თუ ექსპერტები დიად საუბრობენ იმაზე, რომ საავადმყოფოს ადმინისტრაცია ორიენტირებულია ფინანსებზე და არა პაციენტის მომსახურებაზე. მათი თქმით, კლინიკაში ჰიპოკრატეს ფიცმა უკანა პლანზე მას შეძლევა გადაინაცვლა, რაც სისტემით არაპროფილური მიმართულების წმინდად კომერციული ინტერესების მქონე „საქართველოს ბანკი და მისი შეილობილი კორპორაცია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი GHG დაინტერესდა.

პროფესორი ედმონდ პელერინი ავსტრალიის სამედიცინო ჟურნალში წერდა: „შესაძლავა ბევრისთვის სამედიცინო ფიცი მხოლოდ ძველი დამსხრეველი რელიკვიის ნატეხია, მაგრამ ამ რელიკვიით გარკვეული ნაწილი საკამათო საკითხად დარჩება. მაგრამ დებულებების შედეგების მიუხედავად, დიდ პატივისცემას იმსახურებს ექიმების მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომ ისინი იზრუნებენ ავადმყოფზე“. ჰიპოკრატესთვის ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება თავიდანვე იყო თავისი მოღვაწეობის მთავარი მიზანი და ამის განხორციელებისათვის ფიცს დებდა სწორედ ჯანმრთელობის ღმერთების (აპოლო მკურნალის, ასკლეპიუს-ქირურგის, ჰიგიას- ჯანმრთელობის, სისუფთავისა და ჰიგიენის ქალღმერთისა და პანაცეას- ჰიგიას დის, უნი-

ვერსაღური სამკურნალო საშუალებების ღმერთის) წინაშე მიუხედავად იმისა, რომ ეჭვქვეშ დგას ჰიპოკრატეს ფიცის ავტორობა, ის იყო პირველი, ვინც მედიცინა რელიგიისაგან გამოიწია და დაავადებების საწყისს ზებუნებრივის მაგივრად ფიზიკურში ეძებდა.

ექიმის ფიცში გარკვევით არის ნათქვამი: „ვფიცავ თუ ამას მოითხოვს ავადმყოფის ინტერესები, რჩევასათვის მივმართო თანამოსაქმეებს და თვითონაც არასოდეს ვთქვა უარი რჩევაზე და დახმარებაზე“. ფიცში, როგორც ვხედავთ, არაფერია ნათქვამი ექიმის სამეცნიერო ტიტულზე. ექიმის მთავარი არის გალაურჩება უფალს მისი სახელის ფუჭად მოფიცვარი) ცნების კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც გურამ კოპაძე (2006) აღნიშნავს ის შესასწორებელია, რადგან ღმერთის დაფიცება არამართო ფუჭად, არამედ არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება. დაფიცება მართლ ღმერთის კი არა, სხვა რამისაც არ შეიძლება. ღირსეული ადამიანები არაანარი მაგიურ ხერხებს არ უნდა მიმართავდნენ. დაფიცებაც და ფიცის მიღებაც მაგიაა. მაგიის გამოყენება მხოლოდ წამლად შეიძლება. აღნიშნულის გამო უმჯობესია მესამე მცნება ასე ჩაიწეროს: არ დაიფიცო, თუმცა ადამიანი შეიძლება ისეთ მიზეზ სიტუაციაში ჩავარდეს, რომ იძულებულია ტყუილზეც კი დაიფიცოს ნებისმიერი რამ, თვით ღმერთიც კი. ასეთ გამოუვალ სიტუაციაში, ღმერთი მას მაქსიმალურად შეუნდობს ამ ცოდვას, თუ იგი კეთილი განზრახვით და სამართლიანობის სასარგებლოდ იქნება ჩადენილი. ერთი სიტყვით, ხშირ შემთხვევაში ეშმაკის მოტყუება დასაშვებია.

აღიარებულია, რომ ხნობრიობა სამედიცინო მოღვაწეობის, ექიმთა პროფესიონალიზმისა და ბიომედიცინის, როგორც კულტურის ერთ-ერთი სფეროთაგანის განუყოფელი ნაწილია და მას სჭირდება ყოველდღიური სრულყოფა, მცდელობა და ზრუნვა.

ჰიპოკრატეს – „მედიცინის მამას“ იმიტომ კი არ უწოდებენ, რომ მან შექმნა რაღაც უნიკალური წამალი ან გამოიგონა მკურნალობის არაჩვეულებრივი, მანამდე არარსებული მეთოდი, არამედ იმიტომ რომ, მან ჩამოაყალიბა საექიმო ეთიკის ძირითადი პრინციპები.

„ჰიპოკრატეს ფიცი“, რომლის ტერმინი ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ნაკლებად ცნობილია მისი სრული ტექსტი, რადგან ის იშვიათად ქვეყნდება. ფართო სამეცნიერო (მითუმეტეს არასამედიცინო) საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი მისი ორიგინალური შინაარსი. ამიტომ, სასურველია გავეცნოთ მის პირვანდელ ტექსტს (VI-V სს. ჩვ.წ.-მდე).

„ვფიცავ აპოლონ მკურნალსა, ასკლეპიოსსა, ჰიგიასა და პანაცეას და ყველა ღმერთსა და ქალღმერთს, მოწმებულ ვრაცხ რა მათ, რომ კეთილსინდისიერად, ჩემის ძალღონისა და ჩემის მიხვედრილობის შესაბამისად აღვასრულო ქვემოთ აღთქმა და წერილობითი ვალდებულება: ვინც შემასწავლა მკურნალობის ხელოვნება, ჩემი მშობლების თანასწორად მივიჩნიო იგი, გავუნაწილო მას ჩემი მონაგარი და საჭიროებისას შევწვიო გასაჭირში; მისი შთამომავალი ჩემს ძმებად მივივლო, და ეს ხელოვნება, თუკი ისინი მის დაუფლებას მოისურვებენ, შევასწავლო უსასყიდლოდ და ყოველგვარი პირობების გარეშე; რჩევა-დარიგებანი, ზეპირი გაკვეთილები და ყოველივე დანარჩენი მოძღვრებისა ვამცნო ჩემს ძეთ, ძეთ ჩემი მასწავლებელსა და მოწაფეებსაც, რომელნიც შეკრულნი არიან ვალდებულებითა და ფიცთა საექიმო კანონისა და კვალობაზე და არა-

ვის ვამცნო სხვას. ჩემი ძალ ღონისა და მიხედულობის შესაბამისად მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო განწესება დაუდგინო ავადმყოფს და ავერიდო ყოველგვარი ვნების მიყენებას და უსამართლობას; არ მიეცე არცერთ მოხონელს მომაკვლინებელი საშუალება და არცა გზა ვასწავლო ასეთი ზრახვის შესრულებისა; ასევე არ მიეცე არც ერთ ქალს მუცლის მოსაშლელი პესარიუმი; სპეტაკად და უმწიკვლოდ მოვიხმარო ჩემი ცხოვრება და ჩემი ხელოვნება, რომელ სახელშიც შევიდე, მხოლოდ ავადმყოფის სასიკეთოდ შევადო ამ სახლის კარი და არ იყოს გულსა ჩემსა წინაგანზრახვა, უმართებლობა და ავი სურვილი, მითუმეტეს ზრახვანი სამიჯნურონი ქალთა მიმართ და რუშობის ნდობა კაცთა მიმართ, ნოსარცა ახატთა და არცა მონათა მიმართ; დღეს მკურნალობის ჟამს – ან თუ სხვა დროს – ყური მოვკრა ანდა ვიხილო კაცთა ცხოვრებიდან, როცა არ უნდა იქნეს გამუდამებელი, საიდუმლოდ მივიჩნიო და არავის გაუხილო იგი; და მე განუხრებლად შემსრულებლის ფიცისა, ბედნიერება მხედვს ცხოვრებაში და ჩემსა ხელოვნებაშიც, და მაღიღონ კაცთა უკუნიით უკუნიამდე, ხოლო უკეთოდ დავარდვიო ფიცი ან ცრუ აღთქმა დავდო, პირუკუ მომეგოს მე „მიუხედავად იმისა, რომ „ჰიპოკრატეს ფიცი“ შესულია უამრავი ცვლილებები, ექიმის მიერ, მისი წარმოთქმა ძალზე ხშირად მნიშვნელოვანია იმ პირობისათვის, რომლებიც თავის პიროვნულ თვისებებს უძღვნიან კეთილშობილურ და მაღალხნობრივ იდეალებს.

ჰიპოკრატეს ფიცი სწორი დიაგნოზის გარანტია არ არის. არასწორი დიაგნოზით დაზარებულთა რიცხვმა საგრძობლად იმატა, თუმცა ზუსტი სტატისტიკის მოყვანა შეუძლებელია. ექიმის მიერ დაშვებულმა ყველაზე „უწყინარმა“ შეცდომამ შეიძლება მიგვიყვანოს ფატალურ შედეგამდე. მაგრამ, როცა რამე გავწუხებ, ნაკლებად ვფიქრობთ მედიკოსის კომპეტენციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ექიმის დაბალ კვალიფიკაციასა და გულგრილობის გამო არც თუ იშვიათად ხდება სამედიცინო შეცდომები, თუმც სამედიცინო შეცდომები ნებისმიერ ქვეყანაში ხდება. ჯანდაცვის სისტემის, მცდარი დიაგნოზის ზუსტი მონაცემები არ გააჩნია, თუმც 2017 წელს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ 157 ექიმს პროფესიული პასუხისმგებლობა დააკისრა, აქედან სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით 67 ექიმს შეუჩერდა.

საქართველოში ფარმაცოლოგიური ბიზნესის ფუნქციონირების საკითხი მოითხოვს მიზანდასახულ გადასინჯვას, რადგან მათი ლიდერები უარყოფენ წამლების მანუფაქტურის მამონ, როცა ისინი ქმნიან ისეთ წამლებს, რომლებიც კიდევ უფრო მეტად იწვევს მიიმე დაავადებებს. პაციენტები იძულებული ხდებიან გადაიხადონ სოლიდური თანხა განკურნების შესაძლებლობების მიზნით, რათა აიცილონ ის გართულებები, რომლებიც განპირობებულია არასასურველი წამლების მიღების შედეგად. ჯანდაცვა კი ფეხდაფეხ მიჰყვება ფარმაცევტულ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულია იმისათვის, რომ ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს ავად და ყიდულობდეს წამლებს. წამლები კი უსასრულოა და ამით მუდმივად უნდა იკვებებოს თანამედროვე ადამიანის ორგანიზმი. ამას კი ეწოდება „დაავადებაორიენტირებული მედიცინა“.

ხეშოთქმულიდან იბადება კითხვა: რატომ არის სიცოცხლე ასე იაფი, ხოლო წამალი ასე ძვირი? და კიდევ ვინ მდიდრდება ჩვენს შიშა დაავადებების დროს? ამ შეკითხვებზე პასუხი ერთია – ვინც ჩართულია ფარმაცოლოგიურ ბიზნესში და ფარმაცევტულ მრეწველობაში.

მაინც რაში მდგომარეობს წამლების დანიშნულება? გამოაჯანმრთელოს ადამიანი თუ პირიქით? რატომ არის შესაძლებელი წამლებმა ზიანი მიაყენოს ადამიანის ორგანიზმს? ამ შეკითხვაზე პასუხი უნდა გავიგოთ, ხელ-

საყრდენი კი მეწარმისათვის წამლების წარმოება, რომ ისინი განკურნავს დაავადებას ან არა? რა თქმა უნდა – არა! ფარმაცევტული ინდუსტრია დაავადებების ასაცილებლად მარტივად, რომ ვთქვათ არ არის სარგებელიანი (გარდა ქრონიკული) საქმიანობა. ფარმაცევტული ინდუსტრიის არსებობის, განვითარების და გაფურჩქნისათვის აუცილებელია ბევრი ავადმყოფი ადამიანი, რადგან რაც მეტი იქნება მათი რაოდენობა, მით მეტად ხანგრძლივდება და მიმდინარეობს დაავადება – მით მეტი მოთხოვნილება იქნება წამალზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექიმის მიერ ყველა დანიშნულ წამალს გააჩნია გვერდითი ეფექტი. ამასთანავე, ეკონომიკურად გაუმართლებელია ის ხარჯი, რომელსაც პაციენტი გაიღებს. ამ დროს ადამიანი, ფაქტობრივად წყალში ყრის ფულს. პოლიპრაგმაზიის მიზეზი ექიმის უცოდინარობა ან მისი ფარმაცევტურ და მოკიდებულებაა. როცა ექიმი გამოწერს არასაჭირო მედიკამენტებს, დალატობს ჰიპოკრატეს ფიცს და პაციენტის ნაცვლად ემსახურება ფარმაცევტულ ინდუსტრიას, რომელიც მას დანიშნული წამლის სანაცვლოდ გასამრჯელოს უხდის. ბევრს ჰგონია ამაში ცუდი არაფერია, თუმცა ცხადი უნდა გახდეს, რომ ეს არაეთიკური და მავნე პრაქტიკაა. დროა ყველა ექიმმა გაიაზროს, რომ პრინციპი „არ ავნო“ ფართო ცნებაა.

როცა ექიმი დებს ფიცს, რომ უნდა დაეხმაროს ავადმყოფ ადამიანს, რაც მის ერთგვარ ვალდებულებას შეადგენს, მან ეს უნდა შეასრულოს ყველა შემთხვევაში, განურჩევლად იმისა ადამიანს აქვს ფული თუ არა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება სამკურნალო მედიცინითა და საავადმყოფოთა ჯანდაცვის გზით სვლა ყოველდღიურად მიუვანია. საჭიროა შევბრუნდეთ ჯერ კიდევ არადაავადებული ადამიანებისაკენ, მოვახდინოთ მათი პირველადი პროფილაქტიკა და ეს ვაქცოთ ყველაზე მთავარ საქმედ მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემაში, მასში ჩავრთოთ სახელმწიფოსა და საზოგადოების მთელი ძალისხმევა და საშუალებები. ეს ამოცანა კი არ ეტევა მხოლოდ მედიცინის ჩარჩოებში. ამიტომ საჭიროა არა ალტერნატიული, არამედ მედიცინასთან თანამეგობრული მედიცინა.

თანამედროვე ჯანდაცვის სოციალურ სისტემაში „ჰიპოკრატეს ფიცის“ არცერთი პუნქტი არ სრულდება, ის მხოლოდ ფურცელზეა, პრაქტიკაში კი - ცნობილი ანდაზის: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს“ – ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციულ ხარვეზების გამოვლენის მდგომარეობაა, რაც ხელს უშლის ქვეყნის კონსტიტუციით და-

ცულ ნებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების უფლებამოსილებას. როგორც აღინიშნა, სახელმწიფოებრივი ჯანდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და პრინციპულად ითხოვს ამ სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟს დამოუკიდებელი სამსახურების შექმნით: ცალკე ავადმყოფებისათვის და ცალკე ჯანმრთელი ადამიანებისათვის. აქედან გამომდინარე, ვალეოლოგია (მეცნიერება ჯანმრთელობაზე და მისი სამედიცინო მიმართულება – სანოლოგია) უნდა განვიხილოთ, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნებისა და ოჯახის კეთილდღეობას, გაზრდის ქვეყნის შრომით პოტენციალს, კულტურის დონეს და ა.შ.

ლიტერატურა:

1. კობაძე გურამ – ცოდვის ცნება და ათი მცნება, თბილისი, 2006;
2. არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე) – ბიოეთიკა: გენეზისი, არსი, მერმისი, თბილისი, 2012;
3. ბაბუხაია ვ. – ექიმის ფიცი და საექიმო ეთიკის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1987;
4. დოლიძე ნ., მშვენიარაძე დ. – დეონტოლოგია ქირურგიაში, თბილისი, 1987;
5. სიმშიაშვილი ე., შანიძე ვ. – საექიმო ეთიკა, თბილისი, 1974;
6. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი ვ. – ვალეოლოგია (სანოლოგია – სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“// სოციალური, ეპოლოგიური და კლინიკური პედაგოგია, 2013, 15-10-9, თბილისი, 52-53;
7. Лешинский Л. А. - Деонтология в практике терапевта, Москва, 1989;
8. Долидзе И. Д. - Тайны болезней и здоровой жизни Дербент, 1998;
9. Долидзе И.Д. – “Профессия врача - Не брак по расчету“, Дербентские Известия, 1997, 21 ноября;
10. Долидзе И. Д. - Каков я - сегодняшний больной?, Дербентские Известия, 1997, 14 Октября;
11. Долидзе И. Д. - Взаимоотношения между врачом и больным, Дагестанские Огни, 1997, 17 Февраля;
12. Иосифов Б. - Интервью с Академиком Долидзе И. Д.- “Верность клятве Гипократа на всю жизнь“, Дербентские Известия, 1997, 7 Октября;
13. Наджафлы Г. “Познай самого себя“, Дербентские Известия, 1998, 28 Августа;
14. Долидзе И. Д. “Ах, эти Аптеки“, Дербентские Известия, 1997, 29 Апреля.

რეზიუმე

ჯანდაცვის სისტემაში ჰიპოკრატეს ფიცის სწავთ, მამრამ ბოლო კი – ბასაპირია

იბ. დოლიძე, თბილისი

თანამედროვე ჯანდაცვის სოციალურ სისტემა, როგორც სტატიაში აღინიშნება, პრინციპულად ითხოვს სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟს დამოუკიდებელი სამსახურების შექმნით: ცალკე ავადმყოფებისათვის და ცალკე ჯანმრთელი ადამიანებისათვის.

აქედან გამომდინარე, ვალეოლოგია (მეცნიერება ჯანმრთელობაზე და მისი სამედიცინო მიმართულება – სანოლოგია) უნდა განვიხილოთ, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნებისა და ოჯახის კეთილდღეობას, გაზრდის ქვეყნის შრომით პოტენციალს, კულტურის დონეს და ა.შ.

SUMMARY

ISSUES WITH THE HEALTHCARE SYSTEM

I. DOLIDZE /TBILISI/

Modern medicine tries to change the social construct, which requires to demolish the previous one. This is why Valeology must be discussed and medicine for the healthy, which will ensure family welfare, will increase work output and level of culture.

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია
EUROSCIENCE GEORGIAN NATIONAL SECTION



ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის 2017-2018 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგები

მედ. დოქტ. დ.ჩახუნაშვილი, მედ. დოქტ. კ.ჩახუნაშვილი

Georgian Med News. 2018 Jul-Aug;(280-281):23-28.

CURRENT CONDITION AND CHALLENGES IN TREATMENT OF NON-HEALING WOUND AFTER RADIATION THERAPY (REVIEW).

Karalashvili L¹, Mardaleishvili K¹, Ushyn M¹, Chakhunashvili D¹, Kakabadze Z¹.

CURRENT CONDITION AND CHALLENGES IN TREATMENT OF NON-HEALING WOUND AFTER RADIATION THERAPY (REVIEW)

(რადიაციული თერაპიის შემდგომ განვითარებული შეუსწორებადი ჰრილოვების მკურნალობის გამოწვევები)

Georgian Med News. 2018 Mar.(276):24-33.

CHALLENGES AND MANAGEMENT OF CONGENITAL ABDOMINAL WALL DEFECTS (REVIEW).

Chakhunashvili DG¹, Lomidze N¹, Karalashvili L¹, Kikalishvili L¹, Chakhunashvili K¹, Kakabadze Z¹.

CHALLENGES AND MANAGEMENT OF CONGENITAL ABDOMINAL WALL DEFECTS (REVIEW)

(მუცლის ჯირსის კედლის თანდაყოლილი დეფექტების გამოწვევები და მართვა)

Georgian Medical News
Monthly reviewed journal

HEPATOLOGY



Original Article

Decellularized human placenta supports hepatic tissue and allows rescue in acute liver failure

Zurab Kakabadze ✉, Ann Kakabadze, David Chakhunashvili, Lia Karalashvili, Ekaterine Berishvili, Yogeshwar Sharma, Sanjeev Gupta ✉

First published: 06 December 2017 | <https://doi.org/10.1002/hep.29713>

DECELLULARIZED HUMAN PLACENTA SUPPORTS HEPATIC TISSUE AND ALLOWS RESCUE IN ACUTE LIVER FAILURE

HEPATOLOGY JOURNAL
IMPACT FACTOR 14.079

Health News

Related Topics SCIENCE TOP NEWS TECHNOLOGY HEALTHCARE REFORM U.S.



News > Reuters Health Information

Decellularized Human Placenta Useful for Liver Tissue Engineering

By Will Boggs MD

December 21, 2017

NEW YORK (Reuters Health) - Decellularized human placenta has been shown to support hepatic tissue growth and provide sufficient tissue for rescue in an acute liver failure model. The capacity of a scaffold to carry transplanted liver tissue containing all cell types and functions will be of enormous value, Dr. Sanjeev Gupta from Albert Einstein College of Medicine, Bronx, New York, and Dr. Zurab Kakabadze from Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia, told Reuters Health in a joint email. "This approach using tissue units, as opposed to seeding with one cell type at a time, differed fundamentally from previous efforts for creating an organ," they said.



HOME - EDICIA - TRAPANI - YOU ARE READING -

Insufficienza epatica acuta. Placenta decellularizzata supporta crescita nuovo tessuto

admin | 3 gennaio 2018 | Epato-Trapani



Insufficienza epatica acuta. Placenta decellularizzata supporta crescita nuovo tessuto

(Reuters Health) - La placenta umana decellularizzata permetterebbe di supportare la crescita di nuovo tessuto epatico. L'esperimento, condotto su un modello animale di insufficienza epatica acuta da un team di scienziati, guidati da Sanjeev Gupta, dell'Albert Einstein College of Medicine di New York, e da Zurab Kakabadze, della Tbilisi State Medical University, in Georgia, è pubblicato su Hepatology.

La placenta umana contiene scambio di sangue venoso/arterioso.

Healthglu

HEALTHGLU

HEALTH AND FITNESS NEWS, TIPS, TRENDS AND EVERYTHING CONNECTED TO HEALTH

- HOME NEWS EMOTIONAL HEALTH MENTAL HEALTH SEXUAL HEALTH BEAUTY
- FOOD AND NUTRITION BODY AND SOUL FITNESS ABOUT US CONTACT US

Decellularized Human Placenta Useful for Liver Tissue Engineering

21/12/2017 | Medscape Medical News Headlines | News | 0

57 SHARES

f Share

Tweet



Kaynak Kitaplıklar

- İnternet Yayını Kitaplığı
- Stayt Kitaplığı
- Karaciğer Hakkında Haberler - Reuters Kitaplığı
- Bütün Özellikleri ve Yayın Kitaplığı

Hepatitis Mükemmellik Merkezleri

- (Küresel Site)
- Küresel bir Genel Bakış
- Sınırsız Küresel İnternet Yayını

Ana sayfa



TÜRKİYE

Karaciğer Hakkında Haberler Kitaplığı

Klinik

Decellularized human placenta useful for liver tissue engineering

Last Updated: 2017-12-19
By Will Boggs MD

NEW YORK (Reuters Health) - Decellularized human placenta has been shown to support hepatic tissue growth and provide sufficient tissue for rescue in an acute liver failure model.


The capacity of a scaffold to carry transplanted liver tissue containing all cell types and functions will be of enormous value. Dr. Sanjeev Gupta from Albert Einstein College of Medicine, Bronx, New York, and Dr. Zurab Kakabadze from Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia, told Reuters Health in a joint email. "This approach using tissue units, as opposed to seeding with one cell type at a time, differed fundamentally from previous efforts for creating an organ," they said.

Human placenta contains vascular networks for exchanging arterial and venous blood, ample space for transplanted cells or tissues, and extracellular matrix components containing beneficial factors associated with a variety of cell types.

Dr. Gupta, Dr. Kakabadze, and colleagues evaluated the feasibility of using decellularized human placenta as a scaffold for liver fragments containing all cell types and tested the viability of the resulting hepaticized placenta in a partial hepatectomy sheep model of acute liver failure.

After decellularization, placental vascular structures remained intact and stroma was well preserved, even after storage in saline for days or after lyophilization and cryopreservation for months, according to the December 6 Hepatology online report.

Liver tissue injected into the placenta maintained its structure with sinusoids and was healthy throughout three days of perfusion in vitro. The hepaticized placenta showed evidence of hepatic transport and synthetic functions, as well as evidence of graft perfusion.



Reconstruction of mandibular defects with autogenous bone and decellularized bovine bone grafts with freeze-dried bone marrow stem cell paracrine factors

(ქვედაყბის დეფექტების რეკონსტრუქცია აუტოგენური ძვლითა და დეცელულარიზებული ძვლის გრაფტებზე დასმული ლიოფილიზირებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების პარაკრინული ფაქტორებით)

Oncology Letters
Impact Factor 2.09



**International Scientific Conference
„Future Technologies and Quality of Life”**

September, 29-30, 2017
October, 1, 2017
Batumi, Georgia



**Tbilisi State Medical University,
Department of Clinical Anatomy**

Creating Bioactive Bone Composite for the Reconstruction of Large Size Mandible Bone Defect

Chakhunashvili D, Kakabadze Z, Kakabadze A, Karalashvili L, Chakhunashvili K

International Scientific Conference
Future Technologies and Quality of Life
Batumi, Georgia
September 29 – October 1, 2017





WSPID 2017

10TH WORLD CONGRESS OF THE WORLD SOCIETY FOR PEDIATRIC INFECTIOUS DISEASES



10th World Congress on Pediatric Infectious Diseases

Shenzhen, China
2-5 December 2017

Pediatric Respiratory Syncytial Virus in the Country of Georgia

fdi 
World Dental Congress

**AUGUST 29th -
SEPTEMBER 1st
2017**




TUES, 29 AUGUST 2017

FDI 2017 World Dental Congress

Ifema- Feria de Madrid · Madrid, Spain

★ Int



შეხვედრა საერთაშორისო სტომატოლოგთა ფორუმის ხელშეწყობით, კატრინ კელისთან



BIT's 15th Annual Congress of
**INTERNATIONAL DRUG DISCOVERY
SCIENCE AND TECHNOLOGY-JAPAN 2017**

Theme: Dedicated to Accelerating Drug Innovation
Date: July 25-27, 2017 Venue: Hyatt Regency Osaka, Osaka, Japan



Home	About the conference	Program	Participant	Registration	Sponsorship	Media	Previous Conference	Optional tour	Contact Us
Scientific Program									
Keynote Forum	Section 1	Section 2	Section 3	Section 4	Section 5	Section 6	Young Scientist Forum		

Section 6: From Disease Basic Science to Drug Development and Application

15:50-16:15		Title: Decellularized Cattle Placental as a Natural Three-dimensional Scaffold for Creating Functional Hepatic-like Tissue <i>in vivo</i> Dr. Zurab Kakabadze , Head of Department of Clinical Anatomy, Tbilisi State Medical University, Georgia	
16:15-16:40		Title: Creating Three-dimensional Bone Scaffold. Seeding it with Freeze-dried Bone Marrow Stem Cells Dr. Davit Chakharashvili , Assistant Professor, Tbilisi State Medical University, Georgia	
16:40-17:05		Title: Portal Vein Thrombosis in Liver Graft Ten Years After Liver Transplantation Due to Budd-Chiari Syndrome Dr. Azra Husk-Sekmovic , Associate Professor, University of Sarajevo, Bosnia and Herzegovina	

Creating Three-dimensional Bone Scaffold, Seeding It with Freeze-dried Bone Marrow Stem Cells

Chakharashvili D, Kakabadze Z, Kakabadze A, Kakabadze L, Chakharashvili E

BIT's 15th Annual Congress of International Drug Discovery Science and Technology - Japan 2017 July 25-27, 2017 Osaka, Japan





Your Voice on Research in Europe

Home Who we are What we do What we say How we work Join News My Profile



Join EuroScience
Discover the advantages of becoming a member of our organization of researchers in Europe.

Become a member of EuroScience and subscribe to Nature at a discount.



euroscience.org

ამგვარად ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის 2017-2018 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგებით შეფასებულია დადებითად და მას კიდევ დიდი გეგმები აქვს

რეზიუმე

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის 2017-2018 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგები

*მედ.დოქტ. დ.ჩახუნაშვილი,
მედ.დოქტ. კ.ბ.ჩახუნაშვილი*

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის 2017-2018 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგებით ის შეფასებულია დადებითად და მას კიდევ დიდი გეგმები აქვს.

SUMMARY

RESULTS OF EUROSCIENCE WORK BETWEEN 2017-2018

D. CHAKHUNASHVILI, PhD, MD, K. CHAKHUNASHVILI PhD, MD

Euroscience work has been assessed as good and it has bigger future plans.


გრძობი და გრძობის სანიწალოებო ვაქცინა საქართველოში

მედ.დოქტ. ბ.ბახუნაშვილი,

დაავადებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

გრძობის მნიშვნელობა

- ყოველწლიურად მწვავე დაავადების 3-5 მილიონი შემთხვევა
- ყოველწლიურად 250,000-500,000 გარდაცვალება
- ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები, დაბალი შემოსავლის ქვეყნებში გარდაცვალების უმთავრესი მიზეზია
- მსოფლიოში – იკავებს მე-3 ადგილს ფქოდ-თან ერთად




გრძობის ვირუსი

- Orthomyxoviridae გვარი
- RNA
- RNA-ის 8 სეგმენტი აკოდირებს 11 პროტეინს
- ბუნებრივი რეზერვუარი – წყალზე მიგრირებადი ფრინველები
- ვირუსის ტიპები A, B და C

გრძობის მნიშვნელობა

- ყოველწლიურად მწვავე დაავადების 3-5 მილიონი შემთხვევა
- ყოველწლიურად 250,000-500,000 გარდაცვალება
- ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები, დაბალი შემოსავლის ქვეყნებში გარდაცვალების უმთავრესი მიზეზია
- მსოფლიოში – იკავებს მე-3 ადგილს ფქოდ-თან ერთად



ბუდობს სხვა, თვალთ უხილავი სხეულები, ადამიანთა უმეტესობა ამას არ იჯერებს და პონია, რომ ეს მათი ფანტაზიისა და წარმოსახვის ნაყოფია. მაგრამ თუ დავევირდებით, შესაძლებელია მივხვდეთ, რომ ამაში არაფერია გასაოცარი და დაუჯერებელი. განა მეცნიერებმა არ დაამტკიცეს, რომ ყოველი ხილული, მატერიალური სხეული რთული შემადგენლობისა და აღნაგობისაა? უბრალოდ ადამიანი ყველაფერს ვერ ხედავს, ზოგჯერ შეიარაღებული თვალითაც კი. ჩვენში და ჩვენს ირგვლივ არსებობს უამრავი ცოცხალი ორგანიზმები, რომლებსაც ჩვენ ვერ ვხედავთ, ისევე როგორც ატომის ბირთვში უდიდესი ენერჯის არსებობას. ჩვენ კიდევ ერთხელაც ვრწმუნდებით, რომ ადამიანი თავისი ურთულესი ინსტრუმენტებით შეიარაღებულიც კი ვერ აფიქსირებს მის ორგანიზმში მიმდინარე მიკროფიზიოლოგიურ პროცესებს. ჩვენ მომსწრენი ვართ იმისა, თუ როგორ გამოიყენა კაცობრიობამ იგი პრაქტიკაში. მაშ, რატომ გვიჭირს დავიჯეროთ, რომ ადამიანშიც არის ბევრი რამ მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, სხეულის გაჭრის შემდეგაც კი. განა ცხადი არ არის, რომ ადამიანი აზროვნებს? ჩვენ ვერ ვხედავთ ამ აზრებს, მაგრამ ისინი ძლიერად მოქმედებენ სხვა ადამიანებზე, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე. რატომ უნდა იყოს დაუჯერებელი ის, რომ ადამიანი თავისი აზროვნებით, ემოციებითა და ენერჯიებით დიდ გავლენას ახდენს გარეთა სამყაროზე და თვით თავის სხეულზეც.

მედიცინაში დიდი ხანია ადამიანის მკურნალობისას იყენებენ მისივე შიდა ძალებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მკურნალობის ისეთ მეთოდს, როგორცაა რწმენის ჩაგონება. ასევე ცნობილია, რომ შესაძლოა პირიქითაც მოხდეს და ადამიანი დაავადდეს ჩაკრებისა და თვითჩაგონების ნიადაგზე.

ჯანმრთელობის პრობლემა განუყოფელია ადამიანის პრობლემებისაგან, რადგან ის წარმოიშობა ადამიანთან ერთად, შესაბამისად იცვლის თავის სახეს შეძენილი კულტურის გათვალისწინებით მრავალფეროვან მოძრაობათა ფონზე. თანამედროვე პირობებში, როცა სამყაროში უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა და არასაკმარისია ბუნების კანონების ცოდნა ნორმალური და არანორმალური ფაქტორების პირობებში, მთლიანობაში ხელშემშლელია ჯანმრთელი მოსახლეობის ფორმირებაში, შენარჩუნებაში და განმტკიცებაში. მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია თავისი ისტორიული მისია შეასრულოს დედამიწაზე და ობიექტურად შეცვალოს მოსახლეობის ჯანმართვის პრობლემური საკითხები.

ფიქრი უდიდესი ძალაა. მისი გადაცემა შეიძლება ადამიანიდან ადამიანზე. ფიქრს გააჩნია უსაზღვრო ძალა და სიჩქარე, რომელსაც შეუძლია დაავადების განკურნება, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლა, სასწაულების მოხდენა და საერთოდ ყველაფერი. ადამიანებს, რომლებსაც გააჩნია ამადლებული და სათნო აზრები როგორც ახლოს, ასევე, შორს მანძილზე მყოფთ, უნარჩუნდებათ ბრძოლის უნარიანობა დაავადებების გამომწვევ ძალებთან. სიცოცხლის აზრი, სწორედ იმაშია, რომ ადამიანმა იპოვოს საზოგადოებაში მისი წილი საქმე და მოახდინოს შესაბამისი რეალიზება. იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს დასახული მიზნის მიღწევა, საჭიროა დიდი ძალისხმევა და შინაგანი ძალა. შინაგან ძალას, რომელიც ჩვენშია განთავსებული, საოცარი თვისებები გააჩნია – ეხმარება ადამიანს დასახული მიზნის მიღწევაში,

სხვანაირად, რომ ვთქვათ, შეუძლია ადამიანების აზრებისა და ფიქრების რეალიზება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ადამიანი სამყაროს უადრესად მნიშვნელოვანი რგოლია. ის – სამყაროში მოქმედი ენერჯიების დამოუკიდებელი წყაროა. მის მიერ გამოშვებული ენერჯის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული მისი ცნობიერებისა და აზროვნების ხარისხზე. ამასთანავე, მაღალი ცნობიერება და სწორი აზროვნება აუცილებელია სამყაროში ადამიანის ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ორგანიზმში არსებული შინაგანი ძალა არ აღიარებს არანაირ წინააღმდეგობასა და დამარცხების შესაძლებლობას. ის გარდაიქმნება ძლიერ ნებისყოფად, რომელსაც შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში გამარჯვების მოტანა. მისთვის მიუღებელია გამოგონილი შეზღუდვები, როგორცაა შიში ან ეჭვი. ამ ძალას შეუძლია ადამიანის ტრანსფორმირება, როცა მედიცინა უძღვრია. ადამიანის შინაგან ძალასა და რწმენას შეუძლია გააუმჯობესოს ადამიანის ზოგადი მდგომარეობა და კიდევაც გამოაჯანმრთელოს დაავადებული ორგანიზმი. ის კურნავს სულიერ „ჭრილობებს“ და ხელს უწყობს იმედგაცრუების დავიწყებას. შინაგანი ძალის საფასურს წარმოადგენს უკომპრომისო რწმენა. თუ ადამიანი აღმოაჩენს ამ ძალას საკუთარ თავში, რაც იოლი საქმე არ არის, ის გარკვეული სიმკვლეების მიუხედავად, აღმოაჩენს მეორე „მე“-ს, რაც მას დაეხმარება ჰომეოსტაზის კორეგირებაში და დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების მიზანმიმართულ აღდგენით პროცესში.

ადამიანში არსებობს და მუშაობს ძალიან ბევრი ისეთი მექანიზმები, რომელიც ჯერ ბოლომდე არ არის შესწავლილი; მას გააჩნია ენერჯიები, რომლებსაც იგი ბოლომდე ვერ აკონტროლებს და მრავალ შემთხვევაში კარგად ვერ იყენებს – სხეულისა და სამშენიველის ერთობლივ მიდგომას გაჯანსაღების პროცესში. ორგანიზმის განკურნებისა და განწმენდის ნაცვლად სხეული ავადდება და ირღვევა ფსიქო-სომატური ჰომეოსტაზი. სამყაროს განვითარებისა და სივრცის გაკეთილშობილების ნაცვლად, ანგრევს, ანადგურებს და აბინძურებს მათ. ადამიანების უმეტესობა უტოლინარობის გამო ხდება „ბნელი ძალების“ გააქტიურების სივრცეში და იზრდება მათი უარყოფითი ზემოქმედების რაოდენობა. უნდა დავიჯეროთ რომ, ბევრი რამ, რაც მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, არსებობს და ეხოთერული წყაროების საშუალებით უკვე შესულია კაცობრიობის ცნობიერებაში.

სამყაროში ადამიანის ფენომენის არსი ჯერ კიდევ შეუსწავლელი რჩება. ჩვენამდე მოტანილი თქმულებით, უფაღმა ადამიანი თავის ხატად შექმნა, ანუ იგი სამყაროს მიკრომოდელად ჩამოაყალიბა და აქედან გამომდინარე, მისი ფიზიკური სხეულის ორგანოები და სისტემები ერთმანეთში ისევე ზემოქმედებენ, როგორც სამყაროში არსებული პლანეტები და ვარსკვლავები. ზეცაში არსებული ნივთიერებები შემდგარია მსუბუქი ელემენტებისაგან (ჟანგბადი, წყალბადი, ნახშირბადი, აზოტი); დედამიწა კი – „მინერალური გემისაგან“, რადგან ის აკვებულია მძიმე ელემენტებისაგან (ნატრიუმში, კალიუმში, მაგნიუმში, კალციუმში, რკინა, სპილენძი). აქედან გამომდინარე, ადამიანმა ხილული და უხილავი სამყარო ერთმანეთთან დააკავშირა, რადგან იგია ერთადერთი არსება, რომელშიც ერთადაა მოცემული ორი ბუნება – სხეულებრივი და სულიერი. ადამიანი

ნის ორბუნებობების გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია გავიგოთ ავადმყოფობის, სიკვდილისა და სიცოცხლის, სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობის ფორმირების რაობა და მისი შენარჩუნების არსი.

ადამიანმა სულ რომ არ იფიქროს – ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ფიქრები უპირატესად მიმართულია ყოველდღიური საკუთარი ცხოვრებისეული პრობლემების გადასაწყვეტად. აქ, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ძილი. თუ ადამიანს ძილის მომგვრელი საშუალებების გარეშე ღრმად, ხანგრძლივად და კარგად სძინავს, მისი ნერვები სრულ წესრიგშია და ფიქრების ინტენსივობაც ნაკლებად არის გამოხატული.

ადამიანის ფენომენის შესწავლა განვითარებულ ქვეყნებშიც კი ძნელი წარმოსადგენია, რადგან თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში სოციალურ უბი გველექსაპაზუა დაყრდნობილი: ფულზე და სექსზე. ყველაფერი დანარჩენი – მატერიალური თუ არამატერიალური – ფულისა და სექსის ვარიანტებია. ირინა კალანდარიძის (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ადამიანის ინსტიტუტის „ნოსოფეროს“ ხელმძღვანელი) შეხედულებით ადამიანი ბიო-ფსიქო-სოციო-კოსმიური სისტემაა და ეს თვისებები და ფორმა მან აუცილებლად უნდა გაამართლოს. თანამედროვე სოციალური სისტემა მოითხოვს თანამედროვე ადამიანის ზოგადსაკაცობრიო შეხედულების შეცვლას და იმის დამახსოვრებას რომ – ფული ადამიანად ვერ იქცევა, ფული ფულად დარჩება, ხოლო ადამიანი გაქრება. ადამიანი მხოლოდ ფიზიკური სხეული არ არის. ადამიანის ბიოკომპიუტერი ურთულესი სისტემაა – ეს არის ტვინის ქერქი, მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროებით. ეს არის ველისმიერი სტრუქტურები და ფიზიკური ვაკუუმი, რომელიც ატარებს მეტაფიზიკურ ინფორმაციას აზროვნების დონეზე.

ადმოსავლეთში ამბობენ: „ყველაზე დიდი მტერიც კი ვერ უსურვებს ადამიანს ისეთ საშინელ უბედურებას, როგორც მის საკუთარ აზრებს შეუძლია მოუტანოს.“ ადამიანის ფიქრები და აზრები მართავს კაცობრიობას და არა მხოლოდ მას – ისინი მართავენ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს სამყაროში. უფრო მეტიც, რომლის თანახმად სიტყვით (ანუ იდეით, იდე-

ის მატარებელი აზრით) სამყაროში შეიქმნა ყველაფერი. „თავდაპირველად იყო სიტყვა, და, სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი, (იოანე, 1, 1-2). როგორც უდიდესი მეცნიერი პარაცელსი ამტკიცებდა, რწმენას სასწაულის მოხდენა შეუძლია. ჯანმრთელობა – ადამიანის აზროვნების პირდაპირი შედეგია და ბოლოს, ჩვენი განცდები მთლიანად იცვლება სამყაროსთან დამოკიდებულების თავისებურებათა ხარისხით და ფიქრების შეცვლით. ნებისმიერი ნეგატიური ემოცია, რომელსაც რომელიმე ადამიანის ემოციის ან მოვლენის შესახებ ვგრძნობთ, მთლიანად ფიქრების შედეგია. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის მოქმედებას მოსდევს რეაქცია, მისი ყოველი ფიქრი და ქმედება დიდ ძალას წარმოადგენს და ატარებს ენერჯიას. ის ექოს მსგავსია და უთუოდ გააჩნია უკუდაბრუნების რეაქცია.

1. დოლიძე ნ., მშენიარაძე დ. – დეონტოლოგია ქირურგიაში, თბილისი, 1987;
2. ხიმშიაშვილი ე., შანიძე ვ. – საექიმო ეთიკა, თბილისი, 1974;
3. დოლიძე ი., ჩახუნაშვილი გ. – ვალეოლოგია (სანოლოგია – სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“// სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, №15-10-9, თბილისი, 52-53;
4. Лещинский Л. А. - Деонтология в практике терапевта, Москва, 1989;
5. Долидзе И. Д. - Тайны болезней и здоровой жизни Дербент, 1998;
6. Долидзе И. Д. – “Профессия врача - Не брак по расчету“, Дербентские Известия, 1997, 21 ноября;
7. Долидзе И. Д. - Каков я - сегодняшний больной?, Дербентские Известия, 1997, 14 Октября;
8. Долидзе И. Д. - Взаимоотношения между врачом и больным, Дагестанские Огни, 1997, 17 Февраля;
9. Иосифов Б. - Интервью с Академиком Долидзе И. Д. - “Верность клятве Гипократа на всю жизнь“, Дербентские Известия, 1997, 7 Октября;
10. Наджафлы Г. “Познай самого себя“, Дербентские Известия, 1998, 28 Августа;
11. Долидзе И. Д. “Ах, эти Аптеки“, Дербентские Известия, 1997, 29 Апреля.

რეზიუმე

ფიქრებში „ჩაპირული“ ადამიანი და მისი ჯანმრთელობა

აკადემიკოს იბ. დოლიძე, აკადემიკოსი ბ.ჩახუნაშვილი, თბილისი

ადამიანები უმეტეს შემთხვევაში ფიქრს იწყებს ჯანმრთელობაზე მაშინ, როცა გამოვლენას იწყებს დაავადების პირველი კლინიკური ნიშნები. ისინი ამას ვერც კი ამჩნევენ, რადგან ყოველდღიურად დაკავინებულნი არიან სხვადასხვა სამუშაოებისა და ვალდებულებების შესრულებით. ამ ცხოვრებისეულ ორმოტრი-ალში ადამიანებს ავიწყდებათ ყველაზე მნიშვნელოვანი -თუ რისთვის არსებობენ დედამიწაზე, რა მისია აკისრია მათ და რა არის ადამიანების მიწიერი ცხოვრების დედაარსი.

SUMMARY

A THINKING MAN AND HIS HEALTH

Academician I. DOLIDZE, Academician G. CHAKHUNASHVILI

A lot of humans whilst in everyday routine forget to pay attention to their health. Due to this unimaginable stress people forget why they are on earth and what is the purpose of their existence.

ENDOSCOPIC REMOVAL OF COLORECTAL TUMORS

B. TSUTSKIRIDZE, S. JAIANI, G. TSUTSKIRIDZE

(Institute of Critical Medicine, Tbilisi, Georgia; St. Petersburg State University, Russian Federation)

Actuality of the topic: One of the most frequently occurring tumors of the gastrointestinal tract are colon tumors, which occupy the 4th place among all cancers. The share of colorectal cancer in the structure of total mortality from malignant neoplasms accounts for 8% of cases. A significant increase in the incidence of colorectal cancer is expected, due to the aging population worldwide.

Digital rectal examination allows assess the condition of the rectal area up to 10 cm from the anus and is the simplest and most accessible method. The study of fecal occult blood gives a positive result of only 20-25%. Of these cases, 30% of positive results are due to colon polyps, and only 5%-7% of them are colon cancer.

Currently, there are many methods of visualization of the colon, each has its own advantages and disadvantages. But none of them makes it possible to fully implement the possibility of early diagnosis of malignant tumors of the colon, as well as precancerous conditions. Methods of screening studies are still controversial. Today, traditional colonoscopy is the best method in the diagnosis of colorectal cancer. The method of early colonoscopy in many developed countries allows to reduce mortality from colorectal cancer due to early diagnosis. Some studies have noted that in screening colonoscopy cancer was detected in the early stages of development in more than 50% of cases.

However, even with these methods, false-negative diagnostics can occur in up to 25% of cases. This may be due to insufficient preparation of the patient for a colonoscopy, difficulty in examining bowel bends, inadequate interpretation of the findings, and negative biopsy results. There are also such complications of colonoscopy as bleeding and perforation.

The occurrence of colorectal cancer may be prevented by the timely detection and removal of polyps. Detection of an adenomatous polyp is a prescreening of malignant disease, and its removal is a means of preventing the development of cancer. According to different authors, benign tumors with screening colonoscopy are detected in 20-40% of cases. Conducting a complete endoscopic examination of the colon reveals almost any formation larger than 0.5 cm. When the size of a polyp is less than 5 mm, it is rarely a malignant tumor, in a polyp of 5-10 mm in size, the probability of malignant changes is about 1%, with a value of 10-20 mm - 10%, more than 20 mm - 46%. Endoscopic removal of large non-polypous and polypous formations (adenomas and early cancer) is an alternative to the surgical treatment of this pathology of the colon.

Colonoscopy is not an unmistakable method; the frequency of missed and undiagnosed polyps is inversely proportional to the size of the tumor. However, early diagnosis of precancerous bowel disease and early stages of cancer during screening colonoscopy can significantly improve the results of surgical treatment of such patients. And in elderly people with "small" symptoms of cancer, colonoscopy can significantly reduce mortality due to earlier diagnosis of tumor tumors, their more accurate localization and correct morphological diagnosis.

Research objective: to compare the efficacy and safety of endoscopic methods of resection and loop excision while removing large tumor colon formations.

Methods and materials. We performed 20 endoscopic resections and 27 loop electro scissions in 47 patients, including with continued bleeding from tumor colon formations. All patients previously performed diagnostic colonoscopy. Most often, the formation was localized in the left half of the colon (41 cases), less often in the right half (6 cases). They represented a glandular or villous adenoma and corresponded to surface spreading tumors (20 cases) and tumors on a broad basis (27 cases). Most often the size of the formations was 20-30 mm (21 cases).

Most often, these structures were localized in the direct (50%) and sigmoid (34%) intestines. The size of the tumors was from 10 to 50 mm (on average - 25 ± 5 mm). Formations corresponded to superficial tumors in 20 and tumors on a broad basis - in 27 ob-

servations. Morphologically remote tumors in 59% of cases were a glandular adenoma, in 28% of cases it was villous tumor. Adenocarcinoma was diagnosed in 13% of patients.

47 colon lesions were removed in all 47 cases (22 women and 25 men) aged 32 to 82 years. In 20 cases, a mucous membrane resection technique was used; in 27 cases, a loop electro scission. The study included patients with formations of up to 20 mm or more in size corresponding to the 0-Is and LST types according to the Paris classification of epithelial neoplasia.

A CF-30 fibrocolonoscope ("Olympus", Japan) was used for colonoscopy. The preparation of patients was carried out with the preparation "Fortrans" ("Ipsen", France) according to the standard scheme.

Endoscopic resection of the mucous membrane included the following steps:

- 1) targeted chromoscopy with a 0.5% indigo carmine solution;
- 2) submucosal administration of fluid (adrenaline solution 1:10 000) using injectors NM-200U-0423 ("Olympus") or injectors from "Wieser GmbH" (Germany);
- 3) the capture and removal of the formation of a loop SD-16 or SD-17 ("Olympus")

A mixed current mode with a predominance of coagulation was used. In loop electro-excision, the same types of loops were used in alternating modes of coagulating and cutting current. The morphological characteristics of the tumors, the technique and the completeness of their removal, the complications and the immediate results of the in-

Table 1. Characteristics of remote formations

Indicator		Loopback removal	Resection
Number of patients		20	27
Sex	male	12	13
	female	8	14
Type of education	superficial	8	12
	on a broad basis	12	15
Localization (intestine)	rectum	9	15
	sigmoid colon	6	10
	descending colon	2	2
	transverse colon	2	1
	intestine	1	1
	ascending colon	-	1
Size, mm	less than 20	3	7
	20-30	10	13
	31-40	3	7
	more than 40	1	3
Morphology	glandular adenoma	12	17
	villous adenoma	5	7
	non-invasive carcinoma	2	2
	invasive carcinoma	1	1

Table 2. Results of endoscopic treatment

Indicator		Loopback removal	Resection
Removal	fragments	8	12
	as a unit	12	15
Incomplete removal or recurrence (surgical treatment)		2 (1)	2 (1)
Bleeding		0	1
Perforation		0	0

interventions were evaluated. Complications were considered perforation or bleeding, requiring additional surgical or endoscopic intervention. By removal within healthy tissues was understood the absence of tumor tissue along the border or in the bottom of the wound. Formation of tumor tissue on the rumen or on its borders was considered a recurrence of formation.

The results of the study. According to our data, in 30% of cases colonoscopy allowed us to detect changes in the intestines of various characters. In our observations in inpatients, tumor formations were detected in 15%, in outpatients - in 11% of cases.

Loop removal of tumors within apparently healthy tissue was performed in 20 cases. In 2 cases, the removal was incomplete for technical reasons. In 1 case, further surgical resection of the intestinal area with neoplasm was performed. Perforations were not observed, there were no cases of bleeding.

Not full removal was observed during resection and during electroscission. In the resection group, it was possible to remove the tumor within healthy tissue in 25 cases. In two cases, it was decided to abandon the attempt to completely remove because of the suspicion of the invasive nature of the formation, in both cases it was confirmed during the subsequent operation. Of the complications, 1 case of bleeding was noted, conservatively stopped.

Of the 37 formations larger than 20 mm in size, 27 were removed as a single block (16 by resection and 11 by loop excision). Another 10 formations larger than 20 mm were removed by fragments (7 by resection and 3 by loop electroscission).

Of the 10 entities with a size of less than 20 mm, all 10 were removed as a single block (7 by resection and 3 by loop electro-excision).

Discussion of the data. Loop electroscission for a long time remained the main method of removing medium and large colon tumors. An alternative method of treatment was developed by Karita et al. [4] method of endoscopic mucosal resection. Comparison of these two technical approaches has shown a tendency to a greater number of successful interventions and a lower number of complications when using endoscopic resection. At the same time, the difference did not reach statistically significant values.

A common disadvantage of both methods - electroscission of the mucous membrane and endoscopic resection - is the difficulty of removing even formations up to 20 mm in size and the frequent need to use fragmentation techniques when they are 20 mm or more. The size of the formation of more than 20 mm, according to the data obtained, is a factor that predicts the low probability of its removal as a single unit, regardless of the technique used. According to our study, formations ranging in size from 21 mm to 30 mm were removed as a single unit in only 75% of cases, formations larger than 30 mm were almost always reorganized in parts, although removing the new formation with several fragments makes histological examination of the drug difficult, which is especially important, with endoscopic treatment of early colon cancer.

CONCLUSION:

- endoscopic resection of the mucous membrane is an effective and safe method of removing medium and large tumor tumors of the colon

- when large colon formations are removed on a broad basis, it is preferable to use endoscopic resection of the mucous membrane, which is caused by a lower risk of complications

- the size of a neoplasm of more than 20 mm often necessitates the removal of it by several fragments.

LITERATURE

1. Сотников В.Н., Разживина А.А., Веселов В.В., Кузьмин А.И. Колоноскопия в диагностике заболеваний толстой кишки // Москва. – 2006. – 287 с.
2. Фром Г., Альберт М.Б. Раннее выявление колоректального рака // Российский журнал гастроэнтерологии, гепатологии, колопроктологии. – 1998. – № 4. – С. 79-82.
3. Bergmann U., Beger H.G. Endoscopic mucosal resection for advanced non-polypoid colorectal adenoma and early stage carcinoma // Surg. Endosc. – 2003. – Vol. 17. – P. 475-479.
4. Karita M., Tada M., Okita K. The successive strip biopsy partial resection technique for large early gastric and colon cancers // Gastrointest. Endosc. – 1992. – Vol. 38. – P. 174-178.
5. Kashida H., Kudo S.E. Early colorectal cancer: concept, diagnosis and management // Int. J. Clin. Oncol. – 2006. – № 2. – Vol. 11. – P. 1-8.
6. Schoepfer A., Marbet U.A. Colonoscopic findings of symptomatic patients aged 50 to 80 years suggest that work-up of tumour suspicious symptoms hardly reduces cancer-induced mortality // Swiss. Med. Wkly. – 2005. – P. 679-683.
7. Siddique I, Mohan K., Hasan F. et al. Appropriateness of indication and diagnostic yield of colonoscopy: first report based on the 2000 guide-lines of the American Society for Gastrointestinal Endoscopy // World J. Gastroenterol. – 2005. – P. 7007-7013.
8. Sieg A., Theilmeier A. Results of colonoscopy screening in 2005 - an Internet-based documentation // Dtsch. Med. Wochenschr. – 2006. – P. 379-383.
9. Tamura S., Nakajo K., Yokoyama Y. et al. Evaluation of EMR for laterally spreading rectal tumors // Endoscopy. – 2004. – Vol. 36. – P. 306-312.

Yokata T., Sugihara K., Yoshida S. Endoscopic mucosal resection for colorectal neoplastic lesions // Dis. Colon Rectum. – 1994. – Vol. 37. – P. 1108-1111. 10

Key words: endoscopy, colon, tumors

რეზიუმე

კოლორექტალური სიმსივნეების ენდოსკოპიური მოცილება

მ. ცუცქერიძე, ს. ჯაიანი, მ. ცუცქერიძე

(კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო, სანქტ-პეტერბურგის შტატის უნივერსიტეტი, რუსეთის ფედერაცია)

მიმდინარე სტატიაში ავტორებმა შეისწავლეს 47 პაციენტის მონაცემები, რომლებსაც აღენიშნებოდათ სიმსივნის ფორმირება, მათ შორის ავთვისებიანი და სისხლდენა.

ინსტიტუტში შექმნილი ენდოსკოპიური დახმარების სამსახური იძლევა საშუალებას პირველი საათის განმავლობაში მოხდეს სისხლდენის დიაგნოსტიკა, ასევე სისხლდენის არეს მკურნალობა ფიზიკური ენდოსკოპიური მეთოდებით. ჩვენს კლინიკაში სწორი ნაწლავიდან სისხლდენის მკურნალობისთვის გამოყენებული იქნა ენდოსკოპიური ლორწოვანი რეზექციისა და ენდოსკოპიური ელექტროსკომის მეთოდები.

დადგინდა, რომ ენდოსკოპიური ლორწოვანი რეზექცია არის ეფექტური და უსაფრთხო მეთოდი საშუალო და მსხვილი ნაწლავის სიმსივნის ამოღებისთვის. ამ ტექნიკას გართულებების დაბალი რისკი აქვს. დადასტურებულია, რომ 20 მმ-ზე მეტი სიმსივნის ზომა მოითხოვს ინდივიდუალური ფრაგმენტების მოცილებას.

SUMMARY

ENDOSCOPIC REMOVAL OF COLORECTAL TUMORS

B. TSUTSKIRIDZE, S. JAANI, G. TSUTSKIRIDZE

(Institute of Critical Medicine, Tbilisi, Georgia; St. Petersburg State University, Russian Federation)

In the current article the authors studied data on 47 patients who had colon tumor formation, including malignant and bleeding. The endoscopic assistance service established at the institute allowed for the first hours to diagnose bleeding as well as to treat the bleeding area using physical endoscopic methods. In our clinic the treatment of colon hemorrhage was applied using the method of endoscopic mucosal resection and endoscopic electroscission using conventional methods.

It has been found that endoscopic mucosal resection is an effective and safe method for removing medium and large colon tumors. This technique has a lower risk of complications. It is proved that the size of the tumor more than 20 mm requires removal of its individual fragments.

ჩვენ სტუდია

თსუ მილაკულური და საბედნიერო ბანაზიკის დაკარბამენტი

ეთნიკური პათოლოგიები ამერიკელ და კავკასიელთა პოპულაციებში

მ. ზიპაშვილი, მ.მ.დ., გ. ბიბინიშვილი, მ.მ.დ., მ.იმნაძე, მ.მ.დ., თსუ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი

დღევანდელი პერსონიზებული მედიცინა და საოჯახო მედიცინა, როგორც მისი პირველადი რგოლი, ითხოვს სერიოზული პოპულაციური კვლევების ჩატარებას, რადგანაც სწორედ გარკვეულ ოჯახურ ჯგუფებში აღინიშნება ზოგიერთი ფართოდ გავრცელებული დაავადებებისადმი წინასწარი განწყობა და რისკი, რაც ზოგადად დამოკიდებულია ქორწინების მიღებულ ტიპებზე. გენთა სიხშირე პოპულაციებში დამოკიდებულია მოსახლეობის ინტენსიურ მიგრაციებზე, როგორც ეს დაიწყო, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 200 წლის წინ. ამ მოვლენამ გამოიწვია ზოგიერთი გენის სიხშირის შეცვლა იმ ქვეყნებში, საიდანაც მოხდა ემიგრაცია, და იმ ტერიტორიებზე, სადაც მოხდა მიგრანტთა დასახლება. ახალ ტერიტორიებზე მოხდა ზოგიერთი გენეტიკური დაავადების გავრცელება, რადგანაც ადამიანები უდლებიან ეთნიკური, რელიგიური ან კასტური, კანის ფერის ან სხვა ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე, რაც ასეთ ასომილირებულ ჯგუფებში ქმნის გარკვეულ გენეტიკურ ჩაკეტილობას. მცირერიცხოვან პოპულაციურ ჯგუფებში წარმოიქმნება გენეტიკური იზოლაციები, სადაც იქმნება მემკვიდრული გენეტიკური ან მულტიფაქტორული დაავადებების აგრეგაცია. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ეთნოსში ან რელიგიურ ჯგუფში დაშვებულია ახლონათესავური ქორწინება. ქვეყნებში, სადაც მიგრაციის მანქნებლები ძალიან მაღალია, მაგ. აშშ, კანადა, მოხდა ზოგიერთი გენების სიხშირის ზრდა და პოპულაციური ტვირთის წარმოქმნა. მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, საწყის პოპულაციაში „დამფუძნებლის“ ეფექტი და შემდეგ, ინბრედული ქორწინება. კავკასიის პოპულაციებიც მანქნებელია იმისა, რომ გენთა სიხშირე და „დრეიფტი“ დამოკიდებულია სწორედ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მრავალსაუკუნოვან თანარსებობასა და ცხოვრებაზე. აღვანიშნავთ, რომ კავკასიელ მიგრანტებში აშშ-ში და ჩვენს ტერიტორიაზე აღინიშნება მსგავსი პათოლოგიების გავრცელება. ამიტომ, ჩავთვალეთ ერთგვარი პარალელები დაგვედგინა, რადგანაც რისკის დადგენა მოსახლეობის გარკვეულ ოჯახურ და პოპულაციურ ჯგუფებში აუცილებელია დროული სადიაგნოსტიკო სკრინინგების ფასილიტაციისათვის და სათანადო პრევენცი-

ული რეკომენდაციების და დონისიებების იმპლემენტაციისთვის. მაგ., პორფირია ანუ პერიოდული დაავადება – ჰემოგლობინის ჰემის მეტაბოლიზმის მემკვიდრული დეფექტი, გავრცელებულია აფრო-ამერიკელი წარმოშობის ემიგრანტებში (მაიკლ ჯექსონი) და ჩვენთან ეთნიკურად სომეხ და ბერძენთა პოპულაციაში. კისტოზური ფიბროზი (მუკოვისციდოზი) აშშ-ს თეთრკანიან მოსახლეობაში გვხვდება 1:3500 სიხშირით. შავკანიანებში ის, პრაქტიკულად არ არის. ჩვენთან ამ დაავადების სიხშირე 1:2000. აღვანიშნავთ, რომ ამ დაავადების რეცესიული გენის ჯანმრთელი მატარებლები – ჰეტეროზიგოტები – არასოდეს არ ავადდებიან ტუბერკულოზით და ქოლერით. ეს მუტაცია ამ შემთხვევაში სასარგებლოა. ზოგჯერ სრულიად ჯანმრთელების და მუტანტური გენის ჯანმრთელი ჰეტეროზიგოტების შემთხვევაში პოპულაციაში არაერთმნიშვნელოვანია. მაგ., ნამკლი-სებურ-უჯრედოვანი ანემიის ან თალასემიის გენის მატარებლებს არასოდეს ემართებათ მალარია. ჯანმრთელები კი, ვისაც არ გააჩნიათ მუტანტური გენი, ამ დაავადებისგან დაცულნი არ არიან. ჰემოგლობინოპათიების სიხშირე აშშ-ში 30% აღწევს ხმელთაშუა ზღვის მიგრანტებში. ჩვენთან – 30%-ს ახერბაიჯანელთა პოპულაციაში. ფენილკეტონურია აშშ-ში თეთრკანიანი მოსახლეობის დაავადებაა და გვხვდება ირლანდიელ მიგრანტებში (კათოლიკები, ინბრედული ქორწინება), ასევე, კავკასიელ ემიგრანტებში სიხშირე – 1:10000. ამ დაავადების სიხშირე კი ჩვენს პოპულაციაში თითქმის იგივეა. თეი-საქსის დაავადება – ამერიკაში ებრაელ-აშქენაზებში 1:2900 შემთხვევას აღწევს. და, საერთოდ, ლიზოსომური დაავადებების სიხშირე – შურლერის, ჰანტერის, პომპეს და სხვა, სწორედ ამ ეთნიკურ ჯგუფში მაღალია სხვა ქვეყნებშიც, ჩვენთანაც (30%) ახლო ნათესავური ქორწინებების გამო. ალცჰაიმერის დაავადების სიხშირე აშშ-ში 10-25%-მდეა აფრო-ამერიკელ და ესპანელთა ემიგრანტებში. დაავადების ეპიცენტრს წარმოადგენენ ქალები, რაც ამ დაავადებასთან ასოცირებულ ცნობილ გენეტიკური განწყობის ფაქტორებთან არის განპირობებული. შობადობის ზრდა კი დღეს, სამწუხაროდ, ალცჰაიმერის სინდ-

რომის შემთხვევების ზრდასთან არის დაკავშირებული. ყოველ 10 ახალშობილში მოსალოდნელია გარკვეულ ასაკში 1 აღნიშნული დაავადების შემთხვევა. საინტერესოა, რომ არსებობს ალცაიმერის სინდრომთან ასოცირებული რისკ-დაავადებები – ჰიპერტონული დაავადება და შაქრიანი დიაბეტი. აფრო-ამერიკელებში – პირველია, ესპანელებში კი – მეორე. აშშ-ის კავკასიელ მიგრანტებში სისწორე შედარებით დაბალია – 5-8%. ჩვენთანაც არ აღემატება ამ მაჩვენებელს.

პათოლოგიათა მაგალითები, რომელთა გავრცელება დამოკიდებულია გენეტიკურ და არაგენეტიკურ ფაქტორებზე, მრავალია. მათი სისწორე დამოკიდებულია, როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, „დამფუძნებლის“ ეფექტზე (გენის სისწორე საწყის პოპულაციაში), ქორწინების ტიპზე – ახლო-ნათესავური ან ახლოეთნიკური, ბუნებრივ გადარჩევაზე. გადარჩევის დროს პოპულაციის შემკუებლობა განისაზღვრება სიცოცხლის უნარიანობით და გამრავლების ინტენსივობით.

ზოგჯერ მსგავს პირობებში მყოფი იდენტური გენოტიპების ინდივიდებში ვითარდება ფენოტიპური სხვაობა და გადარჩენის და რეპროდუქციის განსხვავებული ინტენსივობა და მაჩვენებლები. ზოგიერთი ალელი, რომელიც ზრდის გამრავლების სისწორეს აქვეითებს სი-

ცოცხლის ხანგრძლივობას 5% ან 10%. პოპულაციის შემკუებლობა კი ამ დროს არ ზიანდება. ხანდახან კი შემკუებლობის მაჩვენებლები მუტანტური გენის მატარებელ პომოზიგოტებში, რომლებსაც მუტანტური ალელები საერთოდ არ გააჩნიათ, დაქვეითებული აქვთ, რადგანაც ისინი ავადდებიან მაღარით. გადარჩევის ფაქტორს, ასევე წარმოდგენენ მრავალი სხვა დაავადებები – ტუბერკულოზი, კიბო, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ.

მართალია, პოპულაციური გენეტიკა ჯერ, შედარებით, ახალგაზრდა მეცნიერებაა, ის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ფართოდ გავრცელებული გენეტიკური და კომპლექსური დაავადებების მიზეზების დადგენა აუცილებელია დროული პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებისათვის, როგორც ზოგად, ისე ოჯახურ პოპულაციაში. ოჯახური მედიცინის ეფექტურობა დღეს განისაზღვრება ადრეული დიაგნოსტიკით და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებით, რათა დროულად მოხდეს პოპულაციაში მძიმე შედეგების პრევენცია.

ეპიდემიოლოგიურად საშიშ რეგიონებში, ოჯახური მედიცინა უნდა იყოს ის პირველადი რგოლი ჯანდაცვის სისტემაში, რომელიც რისკის დადგენის შემთხვევაში სწორად წარმართავს სიტუაციას და თავიდან ააცილებს მოსახლეობას მრავალ მოსალოდნელ პრობლემას.

რეზიუმე

ეთნიკური პათოლოგიები ამერიკელ და კავკასიელთა პოპულაციაში

მ. ჰიპაშვილი, მ.მ.დ., ტ. გინეიშვილი, ბ.მ.დ., ე. მანნაძე, ბ.მ.დ., თსუ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი

მემკვიდრული დაავადებების გავრცელებას ხელს უწყობენ ზოგჯერ ის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია მათ ოჯახურ ან ეთნიკურ ტრადიციებთან. ქორწინების ტიპები – ახლონათესავური ან ახლოეთნიკური, ხდება ხშირად ზოგიერთ ეთნიკურ (ან რელიგიურ) ჯგუფებში მძიმე შედეგების მქონე დაავადებების გავრცელების მიზეზი. მოსახლეობას უნდა მიეცეს სწორი რეკომენდაციები, რათა თავიდან ავაცილოთ მათ ოჯახებს მძიმე გენეტიკური ტვირთი, აგრეთვე, დავაქვეითოთ მემკვიდრული პათოლოგიების სისწორე მათ პოპულაციაში.

SUMMARY

ETHNIC PATHOLOGIES IN AMERICAN AND CAUCASIAN POPULATIONS

M. CHIPASHVILI, M.M.D., TS. GIGINEISHVILI, B.D., E. MANNADZE, B.D., TSMU Molecular and Medical Genetics Department

The population should be given proper recommendations to prevent their families from having a genetic burden, and to reduce the frequency of inherited pathologies

საქართველოში გენიკო-გენეზიკური საკონსულტაციო ცენტრის დაარსებიდან 40 წელი გავიდა

მანანა ჰიპაშვილი, მედ. აკად. დოქტორი ექიმი, მედიკო-ბიოლოგი, ფსიქიატრი

ამ ქვეყნად დარჩენილებს ერთადერთი რაც შეგვიძლია, ხანდახან მაინც გავისხენოთ ჩვენგან წასულეები თბილი სიტყვით. რაც დრო გადის, მერე ვხვდებით ისინი ვინ იყვნენ, რა გაუკეთებიათ, რა დაგვიტოვეს... სიცოცხლეში ისინი თავის საქმეს აკეთებდნენ ისე, როგორც თვითონ წარმოედგინათ და ჩვენ ამაში ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ვხედავდით. ეს იყო ჩვენი მათთან ერთად ყოველდღიური ცხოვრება.

როდესაც რამოდენიმე წლის შრომის და მცდელობის შედეგად თბილისში 1978 წლის ბოლოს გაიხსნა ცენტრალურ რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში მედიკო-გენეტიკური საკონსულტაციო ცენტრი, ეს იმ დროისათვის ჩვენი პატარა ქვეყნისათვის დიდი მოვლენა იყო. სწორედ გასული საუკუნის 70-იან წლებში იწყებოდა ადამიანის ციტოგენეტიკის განვითარება საბჭოთა კავშირში და პირველი ასეთი ცენ-

ტრები გაიხსნა მოსკოვში, პეტერბურგში და კიევში, შემდეგ კი ჩვენთან. ეს ცენტრი შეიქმნა სახელმწიფო სტანდარტების დაცვით. მას ჰყავდა 30-კაციანი კოლექტივი – ექიმები, ექთნები, ლაბორანტები, მძღოლი, რადგანაც ცენტრი ახორციელებდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში პოპულაციურ კვლევებს. ცენტრს ჰქონდა 3 ლაბორატორია: ციტოგენეტიკური (სტერილური ბოქსით), ბიოქიმიური და ფოტოლაბორატორია. მოგეხსენებათ, რომ ადამიანის კარიოტიპირების საბოლოო ეტაპი მოცემული მასალის ვიზუალიზაციაა და საჭიროა ფოტოკარიოგრამა.

აქ მუშაობდნენ ცნობილი ექიმები და ბიოლოგები: ვიქტორ მოროშკინი, ავთანდილ (დიდი) დოლიძე, თინა ხოფერია, მზია მარტაშვილი, ინგა ვახტანგაძე, თამილა ნემსაძე, ნახიკო სიმონიშვილი, ბოთერაშვილი, ექთანი ფინხაძე.

ცენტრის გახსნის ინიციატორები იყვნენ ცნობილი ქართველი ექიმები, პროფესორები: ირაკლი ფაღავა, იოსებ კვაჭაძე, ავთანდილ კვეხერელი, ირაკლი ციციშვილი. სწორედ მათ ჩაუხერხეს ახალგაზრდა ექიმებს აზრი და მოწოდება იმის შესახებ, რომ პედაგოგია და საერთოდ, მედიცინა, გენეტიკის გარეშე ვერ იარსებებს!

პროფესორმა ირაკლი ფაღავამ თავისი მოწაფე ექიმი-პედაგოგი ვიქტორ მოროშკინი გააგზავნა მოსკოვის II სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგიის კათედრაზე აკადემიკოს ვ. ტაბოლინთან, სადაც მან მიიღო საფუძვლიანი ცოდნა და დიდი გამოცდილება. ვ. მოროშკინმა თბილისში დაბრუნებისას მუშაობა დაიწყო სამედიცინო გენეტიკაში, ჯერ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამედიცინო ბიოლოგიის კათედრაზე და შემდეგ მის მიერ დაარსებულ ზემოთ აღნიშნულ ცენტრში.

ამ ცენტრის გახსნა იმ დროისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. აქ გადიოდნენ პრაქტიკას ახალგაზრდა ექიმები, ასევე იჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის და ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები. ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის რამოდენიმე კურსდამთავრებულმა პროფესორ ა. შათირიშვილის და მისი მეუღლის, პროფ. ჭუჭულაშვილის რეკომენდაციით დაიწყო ცენტრის ლაბორატორიებში მუშაობა. მათი მოღვაწეობა ძალიან შედეგიანი იყო. აქ არა მარტო ავადმყოფების დიაგნოსტიკა, არამედ მათი შემდგომი მონიტორინგი და დახმარება ხორციელდებოდა. ცენტრი ახორციელებდა ოჯახურ და რეგიონალურ სკრინინგებს ბავშვებში, მოხუცებში. აქ მუშაობდნენ თა-

ვის სამეცნიერო თემებზე ასპირანტები, პროფესორები. ინსტიტუტის რექტორთან, პროფესორ კ. ვირსალაძესთან და თერაპიის ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ ნ. ყიფშიძესთან ერთად მუშაობდა და წარმატებით მოხსენებულ იქნა რამოდენიმე შრომა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პირველი მედიკო-გენეტიკური სიმპოზიუმი ჩატარდა თბილისში 1979 წელს. ჩამოსულები იყვნენ მაშინ ძალიან ახალგაზრდა (დღეს კი საერთაშორისო დონის) გენეტიკოსები: ვ.ი. ივანოვი, ნ.პ. ბოჩკოვი, ა.ა. პროკოფიევა-ბელგოვსკაია და სხვები. სიმპოზიუმში მიიღეს მონაწილეობა დღეს ცნობილმა მეცნიერ-პროფესორებმა: თემურ ლეჟავამ, ჯენარო ქრისტესიაშვილმა, აკა ზედვინიძემ და სხვ., რომლებიც მაშინ უკვე სამედიცინო გენეტიკაში ავტორიტეტულ მეცნიერებს წარმოადგენდნენ. არ შეიძლება განსაკუთრებულად არ ავლნიშნოთ ბატონი ა.დოლიძის დეაწლი. მისი ძალიან დიდი მონდობით, თავდადებული შრომით და უდიდესი ხელშეწყობით გაიხსნა ზემოთაღნიშნული ცენტრი, სადაც ის სამედიცინო ინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრაზე მუშაობასთან ერთად ნაყოფიერად მოღვაწეობდა. ბატონი ა. დოლიძე და ვ. მოროშკინი იყვნენ საქართველოში სამედიცინო გენეტიკის აღიარებული პიონერები.

40 წელი გავიდა ცენტრის გახსნიდან და ამიტომ გავიხსენა სურვილი იმ პიროვნებების მოგონების, რომლებმაც 25 წლის განმავლობაში მოკრძალებულად მოღვაწეს, ხმაურის გარეშე. ისინი ასრულებდნენ თავის სამუშაოს დიდი პასუხისმგებლობით და რეკლამირების გარეშე.

ისე წავიდნენ ზოგიერთები ჩვენგან, რომ მათთვის შესაფერისი მადლობაც კი არ გვითქვამს. მხოლოდ მათი მოგონება დაგვრჩა ვალიდ.

P.S. დღეს საქართველოში სამედიცინო გენეტიკა განვითარების ახალ ტალღაზეა. ის დრამად არის შემოჭრილი მედიცინაში. კლინიკებში გახსნილია გენეტიკური ლაბორატორიები. სამედიცინო უნივერსიტეტში კი მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში აქტიურად ფუნქციონირებს მაღალი დონის გენეტიკური ლაბორატორია.

10 წელია თსსუ-ში მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკა ისწავლება, როგორც დამოუკიდებელი საგანი. სასწავლო პროგრამა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტებით, სახელმძღვანელო კი – ქართულად ნათარგმნი დეპარტამენტის ახალგაზრდა გენეტიკოსების მიერ ამერიკული ცნობილი წიგნია, პროფესორ ე. აბზიანიძის რედაქციით.

ჩვენი სიცოცხლის მეორე კოდი – «ЧИТАЯ МЕЖДУ СТРОК»

(პეტიტო შპორტი, ჰამბურგი, 2014წ.)

მ. ჰიპაშვილი, მ.მ.დ., გ. მიზინეიშვილი, ბ.მ.დ., მ.იმნაძე, ბ.მ.დ.,
თსსუ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი

ჩვენი პროგრამული უზრუნველყოფა – რომელმა გენმა იმუშავოს, და რომელმა არა, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ჩვენს გენომზე.

ჩვენმა უჯრედებმა „იციან“, რა პროცესებში მონაწილეობენ – იქნება ეს საჭმლის მონელება, აზროვნება თუ დაავადებასთან ბრძოლა. გენებში არსებულ უზარმაზარ პოტენციალს იყენებს მხოლოდ ის, ვისაც შეუძლია გენეტიკური პროგრამის მოდოფიცირება. აქ ვლინდება გარემოს ზეგავლენა მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე. ცხოვრების წესის შეცვლით ჩვენ შეგვიძლია ნაწილობრივ ჩვენი გენეტიკური პროგრამის

მართვა, ჩვენი ხასიათობრივი თვისებების ფორმირება, მათი გავლენა ჩვენი შეილებების პიროვნულ ჩამოყალიბებაზე; ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებით შესაძლოა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, რაც არსებითად ცვლის ჩვენი და ჩვენი შტამომავლების შეხედულებას გენეტიკის ფუნდამენტალური დებულებების შესახებ.

ყველა ჩვენი მოქმედება და ჩვენი ურთიერთობა სხვა ადამიანებთან (და მათი ჩვენთან) აისახება ჩვენს უჯრედებზე. ყველაფერი მოქმედებს ორგანიზმის მოლეკულურ-ბიოლოგიურ თვისებებზე.

თურმე ჩვენ გვაქვს ძალაუფლება, როგორც ჩვენს, და ისე ჩვენი შვილების გენებზეც კი.

თუ მშობელმა ცხოვრების წესის შეცვლით შეძლო დაავადების დამარცხება, შესაძლოა, ეს შვილებმაც შესძლონ.

გენომის ფუნქციონირება დამოკიდებულია ეპიგენეტიკურ „გადამრთველებზე“.

ეპიგენომი განსაზღვრავს უჯრედის დანიშნულებას. ის ხელმძღვანელობს გენომის მიერ პროგრამის განხორციელებას. ის განსაზღვრავს, რომელი გენი უნდა გააქტიურდეს და რომელი არა. ის აპროგრამებს უჯრედის განვითარებას, დაბერებას, გარემოს გამლბი-ზიანებლების და დაავადების გამომწვევებისადმი მგრძობელობას და ა.შ.

თუ განვითარების დასაწყისში ყველა უჯრედი გენეტიკურად ტოტიპოტენტურია (თანაბარ მექანიზმებით), შემდეგ ეპიგენეტიკური მექანიზმები მიზანმიმართულად უერთდებიან გენომის სხვადასხვა უბანს და საზღვრავენ, რომელ გენებს გამოიყენებს უჯრედი და რომელს არა. ანუ ეპიგენომი ახორციელებს სიცოცხლის ტექსტის სტრუქტურირებას, პროგრამულ უზრუნველყოფას, „კოდის“ სწორ გამოყენებას.

გენეტიკოსები „ეპიგენომის“ ცნებას იყენებენ დაახლოებით 70 წელია, თუმცა მისი მნიშვნელობა საბოლოოდ განისაზღვრა მხოლოდ ადამიანის გენომის გაშიფვრის შემდეგ (რაც გაგრძელდა ხუთი ათწლეული).

რატომ ვითარდება ერთი უჯრედიდან მრავალი ტიპის უჯრედი? ეს დამოკიდებულია ეპიგენეტიკურ გადამრთველებზე ანუ ისეთი პროცესებით, როგორცაა დნმ-ის მეთილირება და აცეტილირება, პისტონური კოდის მოდიფიკაციები, არამაკოდირებელი მიკრო-რნმების ინტერფერენცია.

ეპიგენეტიკურ გადამრთველებს შეუძლიათ საკუთარი თვისებების შეცვლა. ისინი რეაგირებენ გარემოს ფაქტორებზე, რომლებსაც ძალუძთ ჩვენი გენეტიკური პროგრამის შეცვლა. გარემოს ფაქტორების სია კი ასეთია – აღზრდა, კვება, შიმშილი, ინტოქსიკაციები, ნიკოტინი, პორმონები, განცდები, სიყვარული, სტრესი, ფსიქიკური ტრავმები, გადაღლა, ფსიქოთერაპია, სპორტი, კლიმატი და ბევრი სხვა. მათ შეუძლიათ უჯრედის ბიოქიმიის შეცვლა გენეტიკური კოდის შენარჩუნებით. როგორც მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორი ეპიგენეტიკოსი მოშე შიფი აღნიშნავს – „გარემოს გავლენა ჩვენს ეპიგენომებზე და მათი სათანადო ცვლილებები პრაქტიკულად აერთიანებს ბიოლოგიურ და სოციალურ პროცესებს ადამიანის განვითარებას და არსებობაში“. სწორედ ეპიგენეტიკა ხსნის როგორ შეუძლია გარემო სამყაროს ჩვენი სხეულის და ფსიქიკის ხანგრძლივად შეცვლა. გასაგები გახდა, რატომ არის ბავშვის ხასიათი დამოკიდებული იმ ემოციურ გამოცდილებაზე, რომელიც მან და მისმა მშობლებმა შეიძინეს დაბადებამდე და დაბადებისთანავე.

ეპიგენეტიკა ხსნის: რატომ არის ზოგიერთი ადამიანის დეპრესიისადმი მიდრეკილი, რატომ ისაზღვრება დაბადებამდე ჩვენი დასნებოვნების ალბათობა დიაბეტით, სიმსივნით ან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, რატომ აყენებს ცხოვრების არაჯანსაღი წესი ზოგიერთ ადამიანს უფრო ნაკლებ ზიანს, ვიდრე სხვას? და ა.შ.

ჩვენ შეგვიძლია შევნიშოთ შეცვალთ გენომის პროგრამა – მყარად ვიმოქმედოთ ჩვენს ორგანიზმზე, როგორც სხეულზე, ისე ფსიქიკაზე. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა შთამომავლების წინაშე, რადგანაც ძოვიერო ჩვენს გადაწყვეტილებას, რომელსაც ვიღებთ ჩვენ მათ დაბადებამდე (დიდი ხნით ადრე), შეუძლია მათი პიროვნების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის შეცვლა (მაგ. სქესის შეცვლის სურვილიც! – თუ დედას სხვა სქესის შვი-

ლი უნდოდა – ფსიქოლოგიური, ემბრიონალური, ქვეცნობიერი იმპრინტი.

ჩვენ ვიმყოფებით ახალი ბიოლოგიური აზროვნების ფორმირების წინაშე „პოსტგენომური“ საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

ეპიგენომი – არის ენა, რომლის საშუალებითაც გენომი ურთიერთობს გარემოსთან. ყველა უჯრედის გენომი ერთნაირია, მაგრამ ყველა ადამიანს აქვს ათასი განსხვავებული ეპიგენომი, მათი მრავალფეროვნების შესწავლა გახსნის მედიცინაში არნახულ პერსპექტივებს ახალი კვლევებისათვის, დაავადებების მკურნალობისა და პრევენციის ახალი სტრატეგიებისათვის.

ეპიგენეტიკამ უნდა დაასრულოს XXI საუკუნის მედიცო-ბიოლოგიური რევოლუაცია.

ადამიანის უნდა სჯეროდეს, რომ ის არ არის საკუთარი გენების მარიონეტი. მას შეუძლია საკუთარი კონსტრუქციის, პიროვნების, ნივთიერებათა ცვლის შეცვლა. ჩვენს ხელშია ჩვენი ბედი. შეიცვალეთ ცხოვრების სტილი! ეს გამოიწვევს თქვენში ბიოქიმიურ ცვლილებებს, რომლებიც თქვენ და თქვენს შთამომავლებსაც მუდმივად დაეხმარება სიცოცხლის მანძილზე.

ეპიგენომების გამო, გარემო და ცხოვრების წესი წინასწარ, ათწლეულობით ადრე განსაზღვრავს, რა ხდება და რა მოხდება ჩვენსა და ჩვენი შთამომავლების ცხოვრებაში.

ეპიგენეტიკამ განაპირობა პროგრესი ღეროვანი უჯრედების, კანცერის, გერონტოლოგიის კვლევებში. ხანდაზმულთა სიცოცხლის საიდუმლო, სწორედ მათ ეპიგენომებში იმალება. და, თუ ეს პროგრამები ჩართულია, ზოგიერთი ადამიანი დიდხანს ინარჩუნებს ჯანმრთელობას და აქტიურობას ღრმა მოხუცებლობამდე.

„ეპიგენომის გამო უჯრედებს უყალიბდებათ მესიერება“ – ამბობს ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორი რენატო პარო, – „და თუ ჩვენ ვისწავლით ამ მესიერების გამოყენებას და გავიგებთ, როგორ მუშაობს ის, ჩვენ შევძლებთ მის გაკონტროლებას“. რაც, მისი აზრით, გახდება ბიოლოგიური, ფარმაცევტული, დიაგნოსტიკური, ფსიქოლოგიური და პროფილაქტიკური ინსტრუმენტი.

როგორც ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი იოჰიმ ბაუერი ამბობს: „ჯანმრთელობის საიდუმლო იმალება არა გენურ ტექსტში, არამედ მისი აქტივობის რეგულირებაში“.

პირველი კოდი – გენური ტექსტის ასოთა თანმიმდევრობა არ განსაზღვრავს ყველაფერს. არსებობს კიდევ ერთი ზანფორმაციო სისტემა, რომლის მეშვეობითაც ჩვენმა ყველა უჯრედმა იცის, საიდან წარმოიშვა, რა გზა უნდა გაიაროს და სად უნდა მივიდეს. ეპიგენეტიკური ინფორმაცია იცვლება წლებისა და ათწლეულების მანძილზე და დინამიურად რეაგირებს გარემოზე.

მშობლებს უნდა ეხმარებოდეს სახელმწიფო პროგრამები – ფსიქოლოგიური, ფინანსური, ნუტრიციოლოგიური, სამკურნალო-პროფილაქტიკური მხარდაჭერით, რათა მათმა შვილებმა შეძლონ დიდხანს ჯანმრთელად ცხოვრება.

ზოგიერთი ქიმიკატი, პროდუქტი (გენმოდიფიცირებული) უნდა აიკრძალოს, რადგანაც ისინი ახლენენ ჩვენი ეპიგენომების მოდიფიცირებას. მწვევებს მოუხდება თავის მართლება, რადგანაც ის ვნებს არა მარტო თავის თავს, არამედ მის მომავალს, ჯერ არდაბადებულ შვილებს და შვილიშვილებს.

ეპიგენეტიკის მეშვეობით, თუ მეცნიერები ისწავლიან ჩვენი მეორე კოდის პროგრამის შეცვლას, მაშინ უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანებიც კი გამოჯანმრთელდებიან.

ნობელის პირველი პრემია ეპიგენეტიკის აღმოჩენისათვის 2006 წელს მიენიჭა – ენდრიუ ფაიერს და კრეიგ მელლოს (აშშ), რნმ-ის ინტერფერენციის აღმოჩენისათვის, რომელიც სამი ცნობილი ეპიგენეტიკური ფაქტორიდან ერთერთია. სწორედ ამ მექანიზმების გამო (იხ. ზემოთ) უჯრედები ივითარებენ ე.წ. ეპიგენეტიკურ „მეხსიერებას“.

და, ბოლოს, მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება ბატონი პეტერ შპორკის ეპიგრაფს, რომელშიც, ჩემი აზრით ჩაქსოვილია ძალიან ღრმა არსი და ფილოსოფია – „მადლობა ჩემს მშობლებს, ბებიებს და ბაბუებს, რომლებმაც მომცეს გაცილებით მეტი (!), ვიდრე გენომმა და მისმა „გადამრთველებმა“!!!

ТЕША И СВЕКРОВЬ, КАК ДВИГАТЕЛИ ЭВОЛЮЦИИ СЕМЕЙНЫХ ОТНОШЕНИЙ

МАНАНА ЧИПАШВИЛИ, *акад.доктор мед.наук*

მკითხველმა უნდა მაპატიოს, რომ შემდეგ მას სხვა ენაზე მივმართავ, რაც არასოდეს არ გამოკეთებია. გაეკადნიერდები და მოგახსენებთ, რომ თსსუ-ს და კლინიკური ორდინატურის დამთავრების შემდეგ სულ ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დავიწყე ბიოლოგიის კათედრაზე, როგორც რუსული სექტორის პედაგოგმა. სამედიცინო ბიოლოგიის კათედრაზე ვიმუშავე 30 წელი, ბოლო 10 წელია კი ვმოდგავარბო მთელეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში. ქართულ ჯგუფებთან ერთად მეცადინეობებს ვატარებ ყოველთვის რუსული სექტორის სტუდენტებთან და მინდა მივმართო მათ თავიანთ ენაზე, რადგან ჩემს მიერ ქართულად დაწერილ ზოგიერთ საინტერესო პატარა სტატიას ისინი ვერ კითხულობენ; ინტერნეტში კი იმდენი სიახლეა, რომ ადამიანს მოვიწოდებ ის რაც ნახე, სხვასაც გაანდო და გაუზიარო.

Всегда очень интересен путь развития человечества. Одним из факторов, спасших его на ранних стадиях эволюции, был момент – «альтруизма» по отношению к предкам, когда человек научился использовать опыт предков, а не отвозить их, немощных, умирать в лес.

Благодаря бабушкам матери лучше и легче ухаживали за детьми. Постепенно совсем оставляли их на попечение предков, тем самым у молодых появилось больше свободного времени для тех видов деятельности, благодаря которым они содержали семью. Выживаемость младенцев тоже увеличилась. Ведь у бабушек был большой опыт! Молодые женщины становились все более социальными существами, которые вместе с мужчинами могли больше времени уделять тем видам деятельности, которые им помогали лучше содержать семью.

Еще один важный момент - увеличивалось количество немолодых женщин и менопауза, характерная для них, выключила большое их количество из борьбы за мужской пол. Конкуренция среди представителей обоих полов стала меньше в смысле выбора партнера. Человечество, существуя в больших

семях в условиях разделения разных видов труда постепенно, благодаря бабушкам пришло к моногамии. Для ухода за семьей не нужно стало много молодых женщин, а также и мужчин. Достаточно стало для этого дедушек и бабушек, которые кроме ухода и заботы, передавали свои навыки и опыт, поддерживали комфорт и уют не только в материальном, но и в психологическом отношении. Они стали как-бы?, охраняющим быт и жизнь своих потомков, ангелами хранителями!

